

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორ თენგიზ კიკაჩიშვილის
დაბადებიდან
85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი
სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

პროგრამა / თეზისები

3-4 ივლისი, 2025
თბილისი

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი **დარეჯან თვალთვაძე**

პროფესორი **ირმა რატიანი**

ასოცირებული პროფესორი **ეკატერინე ნავროზაშვილი**

ასოცირებული პროფესორი **სოლომონ ტაბუცაძე**

ასოცირებული პროფესორი **გაგა ლომიძე**

ასისტენტ პროფესორი **ანა ლეთოდიანი**

ფილოლოგიის დოქტორი **ნინო პოპიაშვილი**

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **მაია გურაბაიძე**

ისტორიის დოქტორი **მანანა ლილუაშვილი**

ისტორიის დოქტორი **ზურაბ გაიპარაშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი **თათია ობოლაძე**

დოქტორანტურის სტუდენტი **ლილი მეტრეველი**

რეგლამენტი:

მოსხენება სექციის სხდომაზე – **15 წუთი**

დისკუსია – **5 წუთი**

სამუშაო ენა – **ქართული**

პროგრამა

ხუთშაბათი, 3 ივლისი

09.30-10. 00

მონაწილეთა რეგისტრაცია

თსუ I კოჩპუსი, აუდიტორია 202

10.00

კონფერენციის გახსნა

თსუ I კოჩპუსი, აუდიტორია 202

მისალმებები

ჯაბა სამუშია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი

დარეჯან თვალთვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანი, პროფესორი

ირმა რატიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
პროფესორი; შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტის დირექტორი

პირველი სექცია

**სხდომის თავმჯდომარე – ასოცირებული პროფესორი
სოლომონ ტაბუცაძე**

10.30 – 13.00

თსუ I კოჩპუსი, აუდიტორია 212

თამარ რეხვიაშვილი

აისელ ახმედოვა

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და გამოცემები

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნათია ჟუნდუა

მარიამ მეარაყიშვილი

ილია ჯალიაშვილი

ბიბლიური სიუჟეტი იოსების შესახებ და თეიმურაზ პირველის

„იოსებზილნისნანი“

ხელმძღვანელი: ასოც. პოეტ. ნესტან სუღავა

ელდარ გუგულაშვილი

აკუსტიკურ-სამანტიკური ეფექტი დავით გურამიშვილთან ლექსში

„მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“

ხელმძღვანელი: ასოც. პოეტ. გიური შაბაშვიდი

ლაშა გაგნიძე

ბრიგოლ რჩაულიშვილის ლირიკის ძირითადი ასპექტი

ხელმძღვანელი: ასოც. პოეტ. ეკა ვახლოშვიდი

ელენე თამაზაშვილი

**საქართველოს ისტორიული წარსული ბრიგოლ ორბელიანის
ლირიკაში**

ხელმძღვანელი: ასოც. პოეტ. ეკა ვახლოშვიდი

ნინი ქველიაშვილი

**დემოკრატიული ღირებულებები ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრულ
შემოქმედებაში**

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ეკა ვახტოშვიდი

მარიამ შამათავა

**ვახტანგ ორბელიანის პოეზიის არსებითი თავისებურებები და მისი
მნიშვნელობა მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში**

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ეკა ვახტოშვიდი

შესვენება

13. 00-14. 00

მეორე სექცია

**სხდომის თავმჯდომარე – ასისტენტ-პროფესორი
ანა ლეთოდიანი**

14. 00-18.00

თსუ I კოჩპუსი, აუდიტორია 212

ლიანა ჩანადირი

თამუნა შონია

**ილია ჭავჭავაძე და წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოება**

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. თამაზ შახაბიძე

ნინო გრძელიძე

ვაჟა-ფშაველა და „ვაფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხი

ხელმძღვანელი: ასისტ. პროფ. დევან ბებუხიშვიდი

ნინო შიომღვიმელი

დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დადინაცვალი“

გეორგ ვილჰელმ ფრიდრიჰ ჰეგელის

„ორი სიმართლის თეორიის“ შუქზე

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. სოლომონ ტაბუცაძე

ნინო გაბელია

ორი ავტორის ერთი შთაგონება

ხელმძღვანელი: დოქტორი თამაზ ფიცხელაუხი

რუსუდან ქობულაშვილი

რამდენიმე ფერის სიმბოლური გააზრება კნუტ ჰამსუნის

„მისტარიაბის“ მიხედვით

ხელმძღვანელი: ასისტ. პროფ. ანა დეთოღიანი

თამარ ატაშვილი

ელენე ქავზინაძე

ქალი პერსონაჟის როლი ილია ჭავჭავაძის

„ოთარანთ ქვრივისა“ და ნიკო ლორთქიფანიძის

„თავსაფრიანი დედაპაცის“ მიხედვით

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი სოფიკო ძნედაძე

გვანცა ძმანაშვილი

ანა წიქარიშვილი

პატოლოგიის ლიტერატურული მისტიფიკაცია „ცისფარი

ქოლგის“ მიხედვით

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი სოფიკო ძნედაძე

გიორგი შარაშენიძე

გრიგოლ რობაქიძის „ჩაპულის სული“, როგორც დისტოპიური

რომანი

ხელმძღვანელი: ასისტ. პროფ. ანა დეთოღიანი

მესამე სექცია

სხდომის თავმჯდომარე – ასოცირებული პროფესორი
კონსტანტინე ბრეგაძე

10.30 – 13.00

თსუ I კოჩპუსი, აუდიტორია 202

ნიკოლოზ შათირიშვილი

მარიამ მჭედლიძე

ცისფერყანალები და მათ მიერ ქართულ

პოეზიაში შემოტანილი სიბახეები

ხელმძღვანედი: ფილოლოგიის დოქტორი

სოფიკო ძნედაძე

სალომე ადამია

შოთა ჩანტლაძის ლექსის პოეტიკა

ხელმძღვანელი: სალომე ლომოური

ნანა გადელია

შიში, როგორც ძალაუფლების შენარჩუნების მექანიზმი

ჰერტა მიულერისა და ნინო ხარატიშვილის თქმულებაში

ხელმძღვანელი: პოეტესი სადომე პაგაჩიძე

ნატალი მაჭარაშვილი

იმპერსონალური ტანდემები ნიკო ლორთქიფანიძის

რამდენიმე ნოველისა და მიწათმოქმედის მიხედვით

ხელმძღვანელი: ასისტ. პოეტ. ანა დეთოღიანი

გვანცა კუპრეიშვილი

ანტიკური სამართლიანობიდან ქრისტიანულ სინდისამდე:

შურისძიების დრამატურგია ეპიკოსა და შექსპირთან

ხელმძღვანელი: დოქტორი აჩილ წეხედიანი

ინა ტყეშელაშვილი

თამარ ქანუყვადე

„ბაირონული გმირის“ კონფლიქტი ღმერთთან,
სამყაროსთან და საკუთარ თავთან ლორდ ბაირონის
„კაენისა“ და „მანფრედის“ მიხედვით

ხედმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი დიზი ძაგნიძე

ლოლიტა გევორქიანი

ჰარი ჰალარის პერსონაჟი

(*ჰერმან ჰესეს რომანიდან „ბრაშალის მგელი“*)

ნიცშესაუბროს სამი გარდასახვის სწავლების

პერსპექტივიდან

ხედმძღვანელი: ასოც. პროფ. კონსტანტინე ბეგაძე

მარადი კაციაშვილი

სალომე გუმბერიძე

ჰომო ფაბერი თანამედროვე სამყაროში:

ტექნოკრატიზმის კრიტიკა მაქს ფრიშის რომანში

“Homo Faber”

ხედმძღვანელი: ასოც. პროფ. კონსტანტინე ბეგაძე

შესვენება

13. 00-14. 00

მეოთხე სექცია

სხდომის თავმჯდომარე – დოქტორანტი
ნინო მალუტაშვილი

14. 00 – 18.00

თსუ I კოჩპუსი, აუდიტორია 202

მაკა მღებრიშვილი

მარიამ ჩხიკვაძე

ცოდნა: ბადნიერება თუ უბედურება?

*(ჯორჯ გორდონ ბაირონის „კაინის“, „მანფრედის“,
ჯონ მილტონის „დაკარგული სამოთხის“ და
იოჰან ვოლფგანგ ფონ გოთეს „ფაუსტი“ მიხედვით)*

ხელმძღვანელი: ასისტ. პროფ. თამაზ გეგაშვიდი

ბაჩანა უგრეხელიძე

ესთეტიკური ჰედონიზმი და ღირსიან გრემის პორტრეტი

ხელმძღვანელი: ასისტ. პროფ. თამაზ გეგაშვიდი

ანასტასია ცუცქირიძე

თამარ ბერაია

ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონისა“ და

ჯეფრი ჩოსერის „კანთერბერიული მოთხრობების“

შედარებითი ანალიზი

ხელმძღვანელი: დოქტორი აჩაძე ედემი

მარიამ სალუქვაძე

ნინო ანანიძე

სიყვარულის დრამატურგია: ბედისწერა, გრძნობები

და ილუზია უილიამ შექსპირის პიესებში

„რომეო და ჯულიეტა“ და „შუა ზაფხულის ღამის სიზმარი“

ხელმძღვანელი: ასისტ. პროფ. თამაზ გეგაშვიდი

სანდრა ბლადაძე

ნინო გახარია

„ბეოვულფი“ და „ჰამლეტი“: შედარებითი ანალიზი

ხელმძღვანელი: დოქტორი იდია პაჭკოხია

მარიამ ლიპარტელიანი

დოდო მუქერია

მარიამ ტეფნაძე

ბედისწერა და თავისუფალი ნაბა ჯეფრი ჩოსერის

„კანთარბარიული მოთხრობაში“

ხელმძღვანელი: დოქტორი იდია პაჭკოხია

პარასკევი, 4 ივლისი

მეხუთე სექცია

სხდომის თავმჯდომარე – დოქტორანტი

ლილი მეტრეველი

10.00 – 13.00

თსუ / კოხპუსი, აუდიტორია 212

სესილი იაშვილი

საბირა, როგორც სოციალური კრიტიკის ფორმა

(აზიზ ნასინის ნარატიული სტრატეგიები)

ხელმძღვანელი: ასისტ. პოფ. მზისა ბუსკივაძე

თამთა პაპიძე

სწორფრობის ეთიმოლოგიური საფუძვლები

სამძიმარის მითოსში

ხელმძღვანელი: ასოც. პოფ. ხვთისო მამისიმედიშვილი

სესილი ერავია

სიტყვის ძალა: ქართული სამკურნალო ზელოცვები

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ედენე გოგიაშვიდი

თამარ ლალიაშვილი

შალვა მილაშვილი

ოზაანის ამაღლების ფოლკლორული, ისტორიული და

ხელოვნებათმცოდნეობითი ასპექტები

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვიდი

ანა კურტანიძე

ანი როსტიაშვილი

ნაირა გელაშვილის მოთხრობა „სერსოს“ პოეტური ენის საკითხები

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვიდი

ხატია ტაბატაძე

ბოტანიკური მკვლელობის ეპოქა და მისი ლიტერატურული რეპრეზენტაცია

რეპრეზენტაციის ინსტიტუტის და ნაირა გელაშვილის მოთხრობებში

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვიდი

ნათია ვარსიმაშვილი

მზია ჯიყაშვილი

თხრობის ჟანრები თანამედროვე ნაირა გელაშვილის

მცირე რომანში „მე ის ვარ“

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვიდი

ქეთევან კოდელაშვილი

მულტიმედიაში ციფრული გამოცემებისა და

კორპუსული და მულტიმედია სტილიზაციის სინერგია

ბავშვობის კვლევის განვითარებისათვის

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. მაკა ედუარდოშვილი

შესვენება

13. 00-14. 00

მეექვსე სექცია

სხდომის თავმჯდომარე – დოქტორანტი თათია ობოლაძე

14. 00-18.00

თსუ I კოჩპუსი, აუდიტორია 212

ია შანთაძე

ქალის მორალური სტატუსი ნათანიელ ჰოთორნის „ალისფერ დაშლაში“
ხელმძღვანელი: დოქტორი თამაზ ხვედელიძე

სამირა ომაროვა

ლიზი სიდაშელი

მოზარდის მვალით დანახული სისტემა – იმრა კერბეხის „უბედობა“
ხელმძღვანელი: დოქტორი აჩაყ ედეში

ლიზი გიორგაძე

ქართული ბიბლიის თარგმანის თავისებურება და ქართული
სალიტერატურო ენა რუმის წიგნის პირველი თავის მაგალითზე
ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნათია მიხოტაძე

მარიამ დელიბაშვილი

ეკა გერლიანი

„ამირანდარაჯიანისა“ და ამირანის მითის ურთიერთმიმართება
ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ნესტან სუღავა

ეკა თოლორდავა

ელენე თოლორდავა

ჰასიოდუს მსოფლმხედველობრივი გამოცახილები დავით
გურამიშვილის „დავითიანში“
ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ანნა ცანავა

ანი ქიღვარია

სოდნა რწმენის გარეშე: გზა სიკვდილისკენ
(ლორდ ბაირონის „კაენისა“ და „მანფრედის“ მიხედვით)
ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი დიზი ძაგნიძე

თეზისები

სალომე ადამია

შოთა ჩანტლაძის ლექსის პოეტიკა

შოთა ჩანტლაძე თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწეა. იგი მეოცე საუკუნის პოეტთა შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

შოთა ჩანტლაძის შემოქმედებას დღეს ბევრი ადამიანი ეცნობა და ლექსის მკვლევრებიც ინტერესდებიან. 2024 წელს შ. ჩანტლაძის პოეზიას მიეძღვნა ლექსმცოდნეობის სესია. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი საკითხია გამოსაკვლევ. მისი შემოქმედების სიღრმისეულად შესწავლა საშუალებას მოგვცემს, პოეტს შესაფერისი ადგილი დავუმკვიდროთ ქართული ლექსის ისტორიაში. მისი ლექსები გამოირჩევა ღრმა საზრისითა და ორიგინალური მხატვრული სახეებით, რომელთა ანალიზი შეგვაძლებინებს, პოეტის მხატვრული სამყაროს სწორად აღქმას.

შოთა ჩანტლაძის შემოქმედებაში, ჩვენს ყურადღებას იქცევს მხატვრული სახეების პოეტიკა: თუ როგორ იყენებს ტროპებს ავტორი და რა დატვირთვა აქვთ მათ მის ლექსებში. აღსანიშნავია ისიც, რომ შოთა ჩანტლაძის შემოქმედება დღემდე აქტუალურობას ინარჩუნებს თემატიკითაც. ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართების დადგენა შეგვაძლებინებს, გავაანალიზოთ, თუ რა გავლენას ახდენს თემატიკა შ. ჩანტლაძის ლექსის ფორმაზე. შ. ჩანტლაძე სხვადასხვა მხატვრულ სახეს იყენებს; მის ლექსებში ჭარბობს მეტაფორები. განსაკუთრებით საყურადღებოა პოეტის ლექსი „მანიფესტი“, რომელშიც იგი პოეზიის მნიშვნელობაზე საუბრობს და წერს, რომ „პოეზია – მინა და წყალია“. ლექსის ანალიზი საშუალებას იძლევა, გავიაზროთ შოთა ჩანტლაძის პოეზიისადმი დამოკიდებულება და აღქმა. იგი მიიჩნევდა, რომ პოეზია შემოქმედებისა და შრომის ერთიანობაა.

ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს შოთა ჩანტლაძის ლექსის პოეტიკა: თუ როგორ იყენებს იგი მხატვრულ სახეებს და რა არის მისი მთავარი სათქმელი. შოთა ჩანტლაძისთვის პოეზია მნიშვნელოვანი იყო; მის ლექსებში იგრძნობა ღრმა სულისკვეთება და მისწრაფება პოეტური ტექსტების სრულყოფისკენ. იგი ცდი-

ლობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულიყო და პასუხისმგებლობით მოკიდებოდა პოეტურ საქმეს.

სტრუქტურალისტური კვლევის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, შევისწავლეთ შოთა ჩანტლაძის რამდენიმე ლექსი და შემოგთავაზებთ მათ ანალიზს. ნაშრომში განხილულია მხატვრული სახეები და თემატიკა; ანალიზისას ყურადღება ექცევა ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართებას.

თამარ ატაშვილი ელენე ქავჭინაძე

ქალი პერსონაჟის როლი ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივისა“ და ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცის“ მიხედვით

ქალი პერსონაჟის როლი ლიტერატურაში ყოველთვის წარმოადგენდა კვლევის მნიშვნელოვან მიმართულებას, ვინაიდან იგი ასახავს იმ სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცვლილებებს, რომლებიც დროის ცვლილებასთან ერთად საზოგადოებაში იჩენს თავს. ლიტერატურა ხშირად ირეკლავს გენდერულ სტერეოტიპებსა და ქალისადმი დამოკიდებულებებს, რის გამოც ქალი პერსონაჟის ანალიზი საინტერესოა არა მხოლოდ ესთეტიკური, არამედ სოციოკულტურული თვალსაზრისითაც.

კლასიკურ ლიტერატურაში ქალი ხშირად წარმოჩენილია როგორც სტერეოტიპული, პასიური და მეორეხარისხოვანი ფიგურა, რომელიც მამაკაცი პერსონაჟის მოტივაციას ან შთაგონებას ემსახურება. ასეთ დროს ქალის ხასიათი ხშირად მოკლებულია ინდივიდუალობას და მხოლოდ საზოგადოებრივ მოლოდინებს ასახავს. მიუხედავად ამისა, ქართულ ლიტერატურაში ქალი პერსონაჟები ხშირად განსხვავებული, ძლიერი და ღირებულებებზე დაფუძნებული სახეებითაც გვვევლინებიან.

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია ქალი პერსონაჟის როლი ორ განსხვავებულ სოციალურ კონტექსტში – ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივში“ და ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიან დედაკაცში“. ნაშრომი მიზნად ისახავს გამოავლინოს ქა-

ლის როგორც მტკიცე და პატივსაცემი, ისე მგრძნობიარე და თავგანწირული სახე.

კვლევის ძირითადი მიზანია ქალი პერსონაჟის როლის შესწავლა შერჩეულ ქართულ ლიტერატურულ ტექსტებში. ამ მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები:

- ქალი პერსონაჟის კონცეფციასთან დაკავშირებული ლიტერატურისა და კრიტიკული მიმოხილვების ანალიზი;
- ქალის როლისა და ფუნქციის შედარება სხვადასხვა ეპოქაში;
- ქალის სახის ცვლილების ტენდენციების გამოვლენა;
- შერჩეულ მოთხრობებში ქალი პერსონაჟების სიღრმისეული ანალიზი და შეფასება.

კვლევის პროცესში გამოყენებულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მასალა, მათ შორის, კლასიკური ნაწარმოებები, აკადემიური ლიტერატურა და ფემინისტური კრიტიკა. ანალიზის ძირითადი მეთოდია შედარებითი ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა, განვიხილოთ ქალის სახის ტრანსფორმაცია და მივიღოთ სრულყოფილი წარმოდგენა მისი ლიტერატურული რეპრეზენტაციის შესახებ.

სანდრა ბლადაძე
ნინო გახარია

„ბეოვულფი“ და „ჰამლეტი“: შედარებითი ანალიზი

უცნობი ავტორის ანგლო-საქსური საგმირო ეპოსი „ბეოვულფი“ და ინგლისელი დრამატურგის, უილიამ შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტი“ ორი სრულიად განსხვავებული ეპოქისა და მსოფლმხედველობის გამოძახილია, თუმცა მათ შორის დამაკავშირებელი ძაფები ადვილად იკვეთება. ერთი მხრივ, ორივე ტექსტი ადამიანის ბუნების, ძალაუფლების, ღირსებისა და სიკვდილის თემებზე გვაფიქრებს, ხოლო მეორე მხრივ, სრულიად განსხვავებულ გზებს გვიჩვენებს ამ საკითხებთან მიმართებაში. ორივე ტექსტში ერთ-ერთი წამყვანი თემა არის სიკვდილი: ბეოვულფის

გმირობას საბოლოოდ მისი სიკვდილი ამკვიდრებს – ის კვდება ბრძოლის ველზე, ღირსეულად, საზოგადოებისთვის თავდადებით; ჰამლეტის სიკვდილი კი, თითქოს, მორალური გარდატეხის საბოლოო შედეგია.

„ბეოვულფს“ და „ჰამლეტს“ ერთდროულად აკავშირებს და აცალკევებს ისტორიული კონტექსტი. „ბეოვულფი“ ასახავს აგრარული, კოლექტიური საზოგადოების იდეოლოგიას, სადაც გმირის მიზანი საზოგადოების უსაფრთხოებაა. „ჰამლეტი“ კი მოდერნული ადამიანის შინაგანი კრიზისის, ეჭვისა და იდენტობის შერყევის პირველი სახეა ევროპულ ლიტერატურაში. ერთ შემთხვევაში, გმირობა გარედან იწყება და შიგნით სრულდება, მეორე შემთხვევაში – პირიქით: გმირი საკუთარ თავში იბადება და მხოლოდ ბოლოს გადადის მოქმედებაში.

აღნიშნული ორი ნაწარმოები გვიჩვენებს, რომ გმირობა უნივერსალური ცნებაა, თუმცა მისი ფორმა და გამოხატულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კულტურულ, ფილოსოფიურ და ისტორიულ კონტექსტზე. ბეოვულფი ხმალში ეძებდა ჭეშმარიტებას, ჰამლეტი – საკუთარ გულში. ერთი ხმაურიანად უპირისპირდება ბოროტებას, მეორე – ჩუმად ებრძვის საკუთარ თავს. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ გმირობა ყოველთვის ერთი ფორმის არ არის, და ყველაზე დიდი ბრძოლა ზოგჯერ ისაა, რომელსაც შინაგანად, სხვათა თვალთახედვის მიღმა ვაწარმოებთ. საზოგადოების წინაშე გამოვლენილი ძალა, მოქმედება და ერთგულება წარმოადგენს ბეოვულფის მთავარი ფასეულობების ღერძს. ჰამლეტისთვის კი გმირობა დაეჭვების, შინაგანი ბრძოლებისა და მტკივნეული არჩევანისკენ სვლის პროცესია.

ლაშა გაგნიძე

გრიგოლ რჩეულიშვილის ლირიკის ძირითადი ასპექტი

გრიგოლ რჩეულიშვილი მე-19 საუკუნის ცნობილი მთარგმნელი, პოეტი და პროზაიკოსია, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე 50-იან წლებში გამოვიდა. სამოც-სამოცდაათიან წლებში მისმა

ლიტერატურულმა საქმიანობამ საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

თუმცა, კრიტიკული რეალიზმის ეპოქაში, გრიგოლ რჩეულიშვილის გავლენის სფერო ნელ-ნელა იზღუდება, მის სახელსა და ლიტერატურულ ნაწარმოებებს ივინყებენ, ახსოვთ მხოლოდ რამდენიმე ლექსი, რომელიც სიმღერად იქცა და თაობიდან თაობას ხალხური სიმღერების მსგავსად გადაეცა.

დღეს, გრიგოლ რჩეულიშვილის სახელი თითქმის დავიწყებას მიეცა, იგი ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი და ხშირად არ იპყრობს მკვლევართა ყურადღებას.

რჩეულიშვილის ლექსებში ჩანს ქართველ რომანტიკოსთა, კერძოდ, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის, პოეზიისთვის დამახასიათებელი თემატიკა. ვხვდებით არსებით განსხვავებებსაც. მისი ლირიკული ქმნილებები ზოგჯერ პესიმისტური ხასიათისაა, სადაც პოეტის სევდა-ნალველი იჩენს თავს. სიყვარულის გრძნობის მნიშვნელობაზე, მის უძლეველობასა და სიდიადეზე პოეტის სატრფიალო ლექსები მოგვითხრობენ, მაგრამ ის სიყვარულს წარმოგვიდგენს ისეთ გრძნობად, რომელიც მხოლოდ წვალებასა და ტანჯვას იწვევს ადამიანში.

მოხსენების მიზანია, წარმოაჩინოს გრიგოლ რჩეულიშვილი, როგორც საზოგადო მოღვაწე და დავგანახოს მისი ლირიკის ძირითადი ტენდენციები. განხილულია მის ლექსები: „მდიდარი“, „ამაოება“, „სიკვდილი“, „მთვარე“, „სიყვარულისადმი“. მათი ძირითადი იდეური სფერო.

ნინო გაბელია

ორი ავტორის ერთი შთაბოძება

მწერლობა ეპოქის ანარეკლია – მასში აისახება ხალხის მსოფლმხედველობა, მისწრაფებები და გრძნობები. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო და, ზოგადად, კავკასია რუსეთის იმპერიამ დაიპყრო. დაიწყო კავკასიის ხალხთა მასობრივი გადასახლება და მათი რუსიფიკაცია. ხშირი იყო აჯანყებებიც, რომლებსაც სასტიკად ახშობდნენ რუსი გენერლები. მთიელ ხალხთა გაჭირ-

ვებული ყოფა, თავისუფლების სურვილი და პატრიოტიზმი ცხადად აისახა არაერთი ოსი და აფხაზი მწერლის შემოქმედებაში. სწორედ ასეთ მწერლებს მიეკუთვნებიან დიმიტრი გულია და სოზირიყო ყულათიც.

სოზირიყო ყულათი 1937 წელს დახვრიტეს, ხოლო დიმიტრი გულია სტალინურ რეპრესიებს გადაურჩა და ამ მოვლენების შემდეგ კიდევ მრავალი წელი იცოცხლა. მუჰაჯირობის თემა და სოციალური უთანასწორობა ორივე ავტორისთვის ნაცნობი და მტკივნეული საკითხი იყო.

მოხსენების მიზანია ორი მხატვრული ნაწარმოების – სოზირიყო ყულათის „ნომილ-უსისა“ და დიმიტრი გულიას „კამაჭიჭის“ – შედარებითი ანალიზი. ანალიზისას ვიყენებ კომპარატივისტულ მეთოდს. რატომ მაინცდამაინც ეს ნაწარმოებები? მიუხედავად განსხვავებული გეოგრაფიული არეალებისა და სიუჟეტური მრავალფეროვნებისა, ორივე ტექსტში მთავარი პრობლემა მსგავსია. ტრაგედია არა ინდივიდუალური, არამედ სოციალური და კოლექტიური ხასიათისაა. აფხაზეთისა და ოსეთის განსხვავებული სურათების აღწერისას ფიზიკური და კულტურული ბარიერები იშლება და მკითხველს საშუალება ეძლევა პარალელები გაავლოს ორ სხვადასხვა, მაგრამ მსგავს რეალობას შორის.

ორივე ნაწარმოებში ვხვდებით შემდეგ მოტივებს: სოციალურ ფენებს შორის დაპირისპირება (ბატონყმობის ინსტიტუტი); უსამართლო თავადები და დაჩაგრული გლეხები; იძულებითი ქორწინება; ქალთა უუფლებობა და ტრაგიკული ბედი. ასევე, ორივე ნაწარმოებში უხვად გვხვდება ფოლკლორული მოტივები. რასაკვირველია, სიუჟეტებში ვხვდებით განსხვავებებსაც, თუმცა, მათ შორის აშკარად იკვეთება თემატური პარალელები.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ორივე ავტორმა ცხადად გადმოგვცა საკუთარი ეპოქის რეალობა. პერსონაჟთა აღწერისა და სიმბოლოთა მეშვეობით ისინი გადმოსცემენ არა მხოლოდ ქალთა, არამედ გლეხთა გაჭირვებულ ბედს და იმ სირთულეებს, რომელთა გადალახვაც მათ უწევდათ. ტექსტების შედარებითი ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს ორი განსხვავებული ავტორის საერთო შთაგონებასთან.

ნანა გადელია

**შიში, როგორც ძალაუფლების შენარჩუნების
მექანიზმი ჰერტა მიულერისა და
ნინო ხარატიშვილის ტექსტებში**

მოხსენებაში განხილულია იკვლევს შიშის ფუნქცია, როგორც ძალაუფლების შენარჩუნების მექანიზმი, ჰერტა მიულერისა და ნინო ხარატიშვილის ტექსტებში. მიულერის ესეების კრებული „მეფე დაიხრება და კლავს“ და ხარატიშვილის რომანი „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ წარმოაჩენენ, თუ როგორ გამოიყენება შიში ტოტალიტარულ რეჟიმებში ინდივიდების და საზოგადოებების დასამორჩილებლად. ტექსტებში შიში დაკავშირებულია მეთვალყურეობის პრაქტიკებთან, რაც მიშელ ფუკოს მიერ აღწერილი პა-ნოპტიკუმის კონცეფციას ეხმიანება.

ნაშრომი მიმოიხილავს შიშის გავლენას იდენტობაზე, ოჯახურ და საზოგადოებრივ კავშირებზე, მეხსიერებასა და ტრავმის გადაცემის პროცესზე. თეორიულ ჩარჩოს ქმნის ჰანა არენდტის ტოტალიტარიზმის ანალიზი, ფუკოს ხედვები ზედამხედველობაზე და ტრავმის თეორიის თანამედროვე ინტერპრეტაციები.

მიუხედავად შიშის დამანგრეველი ბუნებისა, ორივე ტექსტი წარმოგვიდგენს წინააღმდეგობის შესაძლებლობებს – მეხსიერების აღდგენას, სიმართლის თქმას და თხრობის ძალას, როგორც იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც შეიძლება გახდეს თავისუფლების მოპოვების საშუალება. ნაშრომი ამ ფორმით აყალიბებს შიშის მრავალმხრივ გაგებას ლიტერატურულ ნარატივებში და ასახავს მის აქტუალობას ძალაუფლების თანამედროვე ფორმების კრიტიკული გააზრების კონტექსტში.

ლოლიტა გევორქიანი

ჰარი ჰალერის პერსონაჟი (ჰერმან ჰესეს რომანიდან „ბრამალის მგელი“) ნიშნუხული სამი გარდასახვის სწავლების პერსპექტივიდან

მე-20 საუკუნის დასაწყისში დასავლური კულტურა ღრმა სულიერ კრიზისში იმყოფებოდა, თუმცა ის ამავედროულად გარდამტეხი ეთიკური და ღირებულებითი ცვლილებების წინაშეც იდგა. ამ ცვლილებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ ფრიდრიხ ნიცშეს (1844-1900) ე. წ. სიცოცხლის ფილოსოფია, რომელმაც მოდერნისტი მწერლების მსოფლმხედველობაზე ძლიერი ზეგავლენა იქონია, განსაკუთრებით კი – მისმა ალეგორიულმა ეთიკურმა სწავლებამ სულისა და ცნობიერების სამი გახდასახვის შესახებ (აქლემი, ღომი და ბავშვი) თხზულებიდან „ასე იტყოდა ზარატუსტრა“ (1883-1885). ეს სწავლება ადამიანის ცნობიერებისა და ეთიკის ტრანსფორმაციას აღწერს და თანამედროვე ადამიანის ცნობიერებისა და ეთიკის განვითარების ალეგორიად იქცა.

ჰარი ჰალერი რომანში თავდაპირველად წარმოდგენილია ღრმა შინაგან შფოთვაში მყოფ და გარესამყაროს უარყოფელ ინტელექტუალად („ლომი“), რომელიც შემდგომში სწავლობს სიამოვნების მიღებას, სიყვარულს, თამაშს, ცეკვას – ანუ მის ცნობიერებასა და სულში იზრდება ნიცშესეული ბავშვი, რომელიც ქმნის ახალ ღირებულებებს და რომელიც განასახიერებს ახალ ესთეტიზებულ სიცოცხლეს.

ჩვენი მოხსენება ნიცშეს ფილოსოფიური პარალელების მეშვეობით აანალიზებს, თუ როგორ ხდება პერსონაჟის ტრანსფორმაცია ამ ორ ეტაპზე, და თუ როგორ გადის იგი გზას ტრაგიკული ინდივიდუალიზმიდან შემოქმედებით თავისუფლებამდე. ამასთანავე, ჩვენი მოხსენება მიზნად ისახავს ნიცშეს და ჰესესს ამ ორი მნიშვნელოვანი ტექსტის, ვითარცა ლიტერატურისა და ფილოსოფიის, დიალოგის წარმოჩენას.

ლიზი გიორგაძე

ქართული ბიბლიის თარგმანის თავისებურება და ქართული სალიტერატურო ენა რუთის წიგნის პირველი თავის გაგალითება

ქართული ბიბლიის თარგმანის ისტორიისათვის თვალყურის მიდევნება ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაზე დაკვირვებასაც გულისხმობს და პირიქით, სალიტერატურო ენის განვითარების დონე თუ შესაძლებლობები თარგმანის ხასიათზეც აისახება.

თარგმანის ხასიათსა და სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებზე დასაკვირვებლად შევისწავლეთ რუთის წიგნის პირველი თავის ძველი ქართული ვერსიები: 1. ოშკური ტიპი (BDOSq), 2. ლექციონარის ტიპი (L) და 3. გელათური ტიპი (G).

ძველი ქართული თარგმანი და სალიტერატურო ენა ვიკვლიეთ სხვადასხვა თვალსაზრისით:

1. სიტყვათა რიგის დაცვა
2. სათარგმნი სეგმენტის შერჩევა
3. სინტაქსური კონსტრუქციების გადმოტანა
4. ლექსიკურ ეკვივალენტთა სიმყარე

რუთის წიგნის მოცემულ ვერსიებზე დაკვირვება გვიჩვენებს, თუ რა სირთულის წინაშე იდგნენ მთარგმნელები ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და რა გავლენას ახდენდა სალიტერატურო ენის განვითარება თარგმანის ტექნიკასა თუ სიზუსტეზე. მოხსენებაში წარმოვადგენთ რუთის წიგნის პირველი თავის მიხედვით ჩატარებული კვლევის დასკვნებს.

ნინო გრძელიძე

ვაჟა-ფშაველა და „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხი

მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურულ სივრცეში განსაკუთრებით აქტუალური გახდა დისკუსია „ვეფხისტყაოსნის“ წარმომავლობისა და ორიგინალობის თაობაზე. ალექსანდრე ხახა-

ნაშვილმა და ნიკო მარმა, სხვადასხვა მიზეზითა და ფორმით, ექვეყნებუ დააყენეს „ვეფხისტყაოსნის“, როგორც შოთა რუსთაველის ორიგინალური ლიტერატურული ქმნილების, სტატუსი. ხახანაშვილი ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ პოემის სიუჟეტს ჰქონდა ფესვები ქართულ ზეპირმეტყველებაში, ხოლო ნიკო მარი მის სპარსულ წყაროებზე მიუთითებდა. ამ ორ განსხვავებულ მიდგომას მწვავედ დაუპირისპირდა ვაჟა-ფშაველა, რომელიც პრინციპულად იცავდა პოემის ფაბულის ორიგინალურობას, როგორც შოთა რუსთაველის ინდივიდუალურ შემოქმედებით ნაყოფს და ქართული ლიტერატურის უმაღლეს კულტურულ გამოვლინებას.

მოხსენება მიზნად ისახავს ამ პოლემიკის სიღრმისეულ გაანალიზებას, მხარეთა წინააღმდეგობების არა მხოლოდ ფაქტობრივ განხილვას, არამედ მათი მნიშვნელობის გააზრებას ეროვნული იდენტობისა და ქართული ლიტერატურის თვითშემეცნების პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ვაჟა-ფშაველას პოზიციის ლოგიკურ, სტილისტურ და მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს, რაც მას მხოლოდ პოეტის როლს კი არ ანიჭებს, არამედ უბადლო პოლემისტის ფუნქციასაც.

ელდარ გუგულაშვილი

აკუსტიკურ-სემანტიკური ეფექტი დავით გურამიშვილთან ლექსში „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“

ქართულ ენას გააჩნია პოტენციალი, გარკვეული ბგერების საშუალებით გამოხატოს დადებითი და უარყოფითი შინაარსი. ეს გამოხატვა ხშირად ექსპრესიული და მეტად დინამიკურია. ენის ექსპრესიულობა კარგად აისახა ლექსში „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“. თექვსმეტმარცვლიანი ტაეპები ტრაგიკული შინაარსისთვის ტევადი აღმოჩნდა, ხოლო მოქნილმა ენამ ეს სივრცე კარგად გამოიყენა.

ეფექტს აძლიერებს მოსაზღვრე რითმები და რეფრენები როგორც აკუსტიკურად, ისე სემანტიკურად. ლექსში „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“ მკაფიოდ განირჩევა დადებითი და უარყოფი-

თი შინაარსის სიტყვათა განსხვავებული ბგერითი შედგენილობა, რავარობისა და რიგისმიხედვით განსხვავებული ბგერები პოზიციებში სხვადასხვა სახის შინაარსს წარმოგვიდგენენ.

მოხსენების მიზანია წარმოაჩინოს ქართული ენის ექსპრესიულობა დავით გურამიშვილის ამ ლექსის საშუალებით.

მარიამ დელიბაშვილი

ეკა გერლიანი

„ამირანდარეჯანიანისა“ და ამირანის მითის ურთიერთმიმართება

„ამირანდარეჯანიანის“ ფაბულისა და სიუჟეტის ორიგინალობის საკითხმა XIX საუკუნის ბოლოს საგანგებო ყურადღება მიიქცია. ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში პირველმა მარი ბროსემ განაცხადა, რომ თხზულება სპარსულიდან თარგმნილი უნდა იყოს. რაც შეეხება ამირანის მითისა და „ამირანდარეჯანიანის“ მიმართებას, ორივე ტექსტზე დაკვირვების საფუძველზე კ. კეკელიძემ დაასკვნა, რომ მითებსა და ხალხურ თქმულებებში ზოგიერთი მოტივი და ეპიზოდი ლიტერატურული თხზულებიდანაა გადასული. დ. ლენგმა ივარაუდა, რომ ანტიკურ ეპოქაში თავისუფლად შეიძლებოდა ბერძენ კოლონისტებს საქართველოდან ესესხათ და წაეღოთ თქმულება კავკასიის მთაზე მიჯაჭვული ტიტანის შესახებ. ამ თქმულებათა ქართულ ციკლში დ. ლენგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა აფხაზურ „აბსკრილს“, რომელსაც რაღაც როლი უნდა ეთამაშა ქართულ-ბერძნულ ურთიერთობებში. სამეცნიერო ლიტერატურაში ლენგის განცხადებას უსაფუძვლოდ მიიჩნევენ იმის გამო, რომ მართალია, ამირანის სახელი უძველეს წყაროებში არსად ჩანს და, შესაძლოა, ქართული ლეგენდა თუ თქმულებაც ძველად არ არსებულებოდა, მაგრამ, გ. იმედაშვილის აზრით, სახელის ამ ფორმით არარსებობა არ ნიშნავს ლეგენდის არარსებობას. ამის სრულყოფილად გასააზრებლად გასათვალისწინებელია ივანე ჯავახიშვილის შენიშვნა, რომ მიჯაჭვულ გმირს ამირანი ძველად შეიძლებოდა სულაც არ რქმეოდა და ის სახელი სულ სხვა ყოფილიყო. კორნელი კეკე-

ლიძე უპირატესობას ანიჭებს ლიტერატურული წყაროს პირველადობას. საამისოდ მოაქვს რამდენიმე არგუმენტი, მათ შორის ისიც, რომ მოსე ხონელის თხზულებაში ამირანს, ბადრისა და უსიბს მეგობრობა აერთიანებთ. ისინი ხორციელი ძმები არ არიან. ამირანის შესახებ არსებულ ყველა მითსა თუ თქმულებაში ამირანთან ერთად მოიხსენიებიან ბადრი და უსიბი. ისინი ან ძმები არიან, ან ძმადნაფიცები.

მოხსენებაში განვიხილავთ ორივე შეხედულების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომელთაგან ჩვენი დაკვირვებითაც მოსე ხონელის თხზულების ფაბულის პირველადობას ვანიჭებთ უპირატესობას.

სესილი ერაგია

სიტყვის ძალა: ქართული სამკურნალო შელოცვები

სიტყვა „შელოცვა“ განმარტებით ლექსიკონებში ცრურწმენას უკავშირდება. შელოცვა ქართული ზეპირსიტყვიერების უძველესი და მნიშვნელოვანი ჟანრია რომლის მეცნიერული შესწავლა, მიუხედავად მრავალი საინტერესო ნაშრომისა, ჯერაც არ არის დასრულებული.

შელოცვები მაგიური პოეტური აზროვნების (ხშირად ორაზროვნების) წრიული პროცესია. ეს სიტყვა იმთავითვე დაუკავშირდა ქრისტიანობამდელს. შელოცვების შესწავლას ჯერ კიდევ ალ. ხახანაშვილის ნაშრომებში ექცევა ყურადღება: „შელოცვანი ძველი წარმართული ლოცვაა, რომლითაც მიმართავდნენ ღვთაებებს მათი წყალობის გამოსათხოვრად ან მათი ბოროტი მოქმედების მოსაგერიებლად“. შელოცვა-გამოლოცვის სტრუქტურა აუცილებლად გულისხმობს ორ სუბიექტს: შემლოცველსა და მას, ვისაც ულოცავენ.

არსებობს შელოცვების კლასიფიკაციის რამდენიმე სახეობა. ქართული ფოლკლორის სახელმძღვანელოში მიხეილ ჩიქოვანი გვთავაზობს ასეთ სქემას: კოსმოგონიური, სამკურნალო და სამეურნეო შელოცვები.

სამკურნალო შელოცვების სტუქტურა შელოცვების უმეტესობისთვის საერთოა. შელოცვის ტექსტი ითვალისწინებს დაავადებაზე ძალადობის აქტს და წარმოითქმის ჩურჩულით. შელოცვის სიტყვები დათრგუნავს ავ სულს და ავადმყოფს გამოჯანმრთელებაში ეხმარება. შელოცვა მაუწყებელია იმისა, რომ მოქმედება აქედან იქით მიმდინარეობს, გამოლოცვა კი ყოველთვის სააქეთო მიმართულებას გულისხმობს, დაავადების შიგნიდან გარეთ გამოსვლას. ყოველი შელოცვის დასასრული პირდაპირი თხოვნაა უფლის მიმართ, რათა შეეწიოს და მლოცველის თქმული სიტყვის ძალით განკურნოს დაავადებული. გამოლოცვებში მოუხმობენ ეკლესიის წმინდანებს, მახარებლებს ან თვით სამებას.

მოხსენებაში წარმოდგენილია შელოცვები, რომელიც ჩემ მიერ არის ჩაწერილი სამეგრელოში, ქ.ფოთში 2024 წელს სულიკო გოგინავასგან. განხილულია შემდეგი ტიპის შელოცვები: გველისა და მორიელის ნაკბენის, სანირელის, ნათვალევისა და მოჟამულის.

ქართული სამკურნალო შელოცვები ჩამოყალიბებული სტრუქტურის მქონე ტექსტებია, რომლებშიც ქრისტიანობამდელი და ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენები შერწყმულია და მიმართულია ერთადერთი მიზნისკენ – ფიზიკურად თუ სულიერად გააჯანსაღოს „პაციენტი“ პირველადქმნილი, ჯადოსნური სიტყვის ძალით.

ნათია ვარსიმაშვილი

მზია ჯიყაშვილი

თხრობის ჟანრობრივი თავისებურებები ნაირა გელაშვილის მცირე რომანში „მე ის ვარ“

ნაირა გელაშვილის მცირე რომანი, „მე ის ვარ“ 2012 წელს გამოიცა და მკითხველთა დიდი ინტერესი დაიმსახურა. რომანი მოგვითხრობს ცამეტი წლის გოგონასა და მის მეზობლად მცხოვრები მასზე გაცილებით უფროსი ვაჟის უცნაური, გაუმხელელი, მაგრამ ღრმა სიყვარულის ამბავის. თინეიჯერობის ასაკში მყოფი

თვითიდენტობის გასაყარზე დგას, აცობიერებს რა თავის გარემოს, იმ სამყაროს, რომელიც მის გარშემოა, ბევრი შეკითხვა უტრიალებს. ეს რომანი მეტად საყურადღებოა ასაკობრივი თავისებურებებით: ორ მთავარ პერსონაჟს შორის შეინიშნება მძაფრი კონტრასტი – ერთი მხრივ, ბავშვი, თავისი ახირებებით და მეორე მხრივ, ზრდასრული, ჩამოყალიბებული ადამიანი. მთავარი ამბავი კი ამ სიყვარულიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ იწყება, როცა მწერალი გადაწყვეტს, პირველი სიყვარულის შესახებ მოიძიოს ინფორმაცია. შესაბამისად, სიუჟეტი ერთი პერსონაჟის ორ ასაკობრივ განცდაზეა ფოკუსირებული.

გოგონას ცხოვრების გზაზე უპირიპირდება ყველა და ყველაფერი: ოჯახი, დედა, მასწავლებელი, სასკოლო პროგრამა – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ციტატების სახით, რომელიც სინამდვილესთან თავისი „არქაული“ შეუსაბამობის ფონზე უცხოდ, საშიშად, გროტესკულად გამოიყურება. ასეთი წინააღმდეგობები, რაც ნაირა გელაშვილის რომანშია ასახული, ყველგან არ გვხვდება, ამიტომ განსაკუთრებული ინტერესის სფეროში ექცევა.

ავტორი ამბავს გვიყვება ქალი პერსონაჟის გადმოსახედიდან. გვიხატავს მის ინტიმურ განცდებსა და გრძნობებს. გვესაუბრება სიყვარულზე, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პერსონაჟის პროფესიულ განვითარებაში. ცხოვრების რთულ ეტაპზე გოგონას ეხმარება პოეზია. შოთასა და გალაკტიონის ციტატებში ეძებს სიყვარულის მთავარ იდეას.

მოხსენებაში ვიმსჯელებთ ნაირა გელაშვილის ავტობიოგრაფიული რომანის რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალზე. ჟანრობრივი თავისებურებებზე, როგორ გადმოსცემს ავტორი ერთსა და იმავე ამბავს ორი განსხვავებული გადმოსახედიდან, ცვლის თუ არა ლექსიკას, ენობრივ საშუალებებს ერთ შემთხვევაში თინეიჯერისთვის და მეორე შემთხვევაში, ზრდასრული ადამიანის, ლექტორის მსოფლმხედველობის შესაბამისად.

ელენე თამაზაშვილი

საქართველოს ისტორიული წარსული გრიგოლ ორბელიანის ლირიკაში

ქართველი მწერლები ხშირად ასახავდნენ საქართველოს ისტორიულ წარსულს თავიანთ შემოქმედებაში. ამ კალმოსანთა შორის გრიგოლ ორბელიანიცაა. მწერალი, რომლის შემოქმედებაში ეროვნული მოტივები ძალზედ მკვეთრად იკვეთება. გრიგოლ ორბელიანმა საქართველოს ისტორიულ წარსულს აქტუალური შინაარსი მიანიჭა როგორც პროზაში, ასევე – პოეზიაში, ამჯერად აქცენტს უკანასკნელზე გავაკეთებთ.

გრიგოლ ორბელიანი საქართველოს ისტორიის კონკრეტულ მოვლენებს წარმოგვიჩენს საკუთარი ხედვის პოზიციიდან, მისეული რაკურსით დანახული სანაქებო წარსული მკითხველში სიამაყის გრძნობას აღძრავს და პატრიოტიზმს აღვივებს. გრიგოლ ორბელიანი ამ ხერხით სამშობლოს ანმყოს უპირისპირებს წარსულს, რათა თანამემამულეებს შეახსენოს: „რად არ გახსოვს ძეთა შენთა, ხმალთა კრიალიო“ (ორბელიანი).

გრიგოლ ორბელიანმა განსაკუთრებული სიღრმით საქართველოს წარსული დაგვიხასიათა პოემა „სადღეგრძელოში“. მითიურ სამოსელში გახვეული ფარნავაზიდან დაწყებული ერეკლემდე თითქოს გაგვიცოცხლა ყოველი მნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურა. გრიგოლ ორბელიანმა საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა „ქრისტეს ნათელის შემომტანი“ მირიანი, „მუზარად მგელ-ლომ გამოსახული“ გორგასალი, საქართველოს „ფენიქსებრ განმაახლებელი“ აღმაშენებელი, დიდებული თამარ მეფე და კიდევ მრავალი სხვა. ამ მხრივ, საინტერესოა, აგრეთვე მისი ლექსები: „იარალის“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „მისი სახელი კიცხვითა“. ლექსში „იარალის“ მწერალს აგონდება „დღენი წარსულსა ნეტარებისა“. „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ წარმოდგენას გვიქმნის თამარის დროინდელ საქართველოზე, ლექსი დეისისის, ანუ ვედრების შინაარსისა და აგრძელებს ძველი ქართული მწერლობის ტრადიციებს. როგორც პარადიგმული კუთხით, ასევე სიტყვახმარებით.

ამდენად, გრიგოლ ორბელიანი საქართველოს ისტორიის ასახვით ეცადა უფრო მკვეთრად გამოეხატა ქვეყნის სიყვარული. ნაშრომის მიზანია, საქართველოს ისტორიული წარსულის გაცოცხლება გრიგოლ ორბელიანის პოეზიის საშუალებით.

ეკა თოლორდავა

ელენე თოლორდავა

ჰესიოდეს მსოფლმხედველობრივი გამოძახილები დავით გურამიშვილის „დავითიანში“

ანტიკური ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი ჰესიოდე ქართული ლიტერატურული სივრცისთვისაც დიდად მნიშვნელოვანი ფიგურაა. მისი პოემა „სამუშაონი და დღენი“, რომელიც ჩვ.წ.-მდე მეშვიდე საუკუნის დასასრულს შეიქმნა, დიდაქტიკური ხასიათისაა და მოიცავს იმ ფასეულობებს, რომლებიც სხვადასხვა თაობისა და ეპოქის ქართველი მწერლების შემოქმედებაში ნათლად არის გამოხატული. ეს ფასეულობებია – ცხოვრებისეული რჩევები, შრომის მნიშვნელობის ხაზგასმა და ადამიანური ღირსებების მნიშვნელობათა წარმოჩენა. ჰესიოდეს იდეათა გამოძახილი აშკარად იგრძნობა ალექსანდრე ყაზბეგის, დავით გურამიშვილის, შოთა რუსთაველის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვა კლასიკოსი ქართველი ავტორების ტექსტებში, თუმცა მოხსენების ფარგლებში, ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ერთ ავტორზე, დავით გურამიშვილზე, რომლის შემოქმედებაში განსაკუთრებულად აქტიურად შეინიშნება ჰესიოდეს მსოფლმხედველობისათვის მახასიათებელი ძირითადი ასპექტები. დამოძღვრითი ტონი, სამართლიანობისადმი რწმენა, ჭეშმარიტების ძიება, საყოველთაო პრობლემების წარმოჩენა, მსგავსი ცხოვრებისეული ღირებულებები სწორედ ის იდეული მახასიათებლებია, რომელიც აერთიანებს ამ ორ დიდ ავტორს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ტექსტი, ჰესიოდეს „სამუშაონი და დღენი“ და დავით გურამიშვილის „დავითიანი“, ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და დიდაქტიკურ-მორალურ განზომილებასთან ერ-

თად ღრმად რელიგიურ ხასიათსაც ატარებს. ამავდროულად, ორივე მათგანი საკუთარი ეპოქის პირდაპირ, შეულამაზებელ გამოცხადებას წარმოადგენს, ასახავს რა მძიმე სოციალურ კონტექსტს და ამ რეალობაში მოქცეული ადამიანის მდგომარეობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტორთა მაღალი ჰუმანიზმი, რომელიც ტექსტებში აშკარად შეინიშნება. ეს უკანასკნელი გულისხმობს დაუღალავ მცდელობას რჩევებით, დარიგებებით ადამიანს ყოფა და მომავალი გაუადვილონ.

მოხსენებაში განვიხილავთ, თუ რამ შეიძლება განაპირობოს საკმაოდ დაშორებული ორი ეპოქის, განსხვავებული რელიგიური მრწამსის მწერალთა ამ მასშტაბის მსოფლმხედველობრივი სიახლოვე. თუმცა იმთავითვე შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა, ერთი მხრივ, ანტიკური ლიტერატურის ფარგლებში ჩამოყალიბებული თემების უნივერსალური ხასიათი, ხოლო, მეორე მხრივ, სწორედ ეპოქები მსგავსებები, რომლებიც შობენ მსგავსი ტიპის აზროვნებას.

სესილი იაშვილი

სატირა, როგორც სოციალური კრიტიკის ფორმა

(აზიზ ნესინის ნარატიული სტრატეგიები)

აზიზ ნესინი XX საუკუნის თურქული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ავტორის მთელი შემოქმედება საზოგადოებრივი უთანასწორობის, ბიუროკრატიული აბსურდის, ძალაუფლების ბრმა მორჩილებისა და კოლექტიური აზროვნების კრიტიკას ეძღვნება. ნესინი სატირას იყენებს არა მხოლოდ იუმორისტული ეფექტის მისაღწევად, არამედ როგორც სოციოკულტურული ანალიზის ძლიერ ინსტრუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს ყოველდღიური ცხოვრების გამოწვევებისა და მორალური კრიზისების გამოკვეთას. მოხსენების ფარგლებში ჩვენი მიზანია, გაანალიზდეს აზიზ ნესინის სატირული სტილი სოციალური კრიტიკის ქრილში და გამოჩნდეს, თუ როგორ იყენებს ავტორი იუმორსა და ირონიას ისეთი პრობლემების წარმოსაჩენად, როგო-

რებიცაა ბიუროკრატიული აბსურდი, ინსტიტუციური უსამართლობა და სოციალური გაუცხოება.

ნესინის ნაწარმოებების ცენტრალურ ფიგურებად გვევლინება საზოგადოების რიგითი წევრი, გულბრყვილო მოხელე ან საზოგადოებრივად პასიური ინდივიდი, რომელთა მეშვეობითაც მწერალი ასახავს სახელმწიფო მექანიზმების უსამართლობას, განათლების სისტემის სუსტ მხარეებსა და ინდივიდუალური აზროვნების ჩახშობის მექანიზმებს. ავტორის სტილი, მკითხველისთვის მარტივად მისაღები ენა, ენერგიული დიალოგები და აბსურდის ელემენტებით გაჯერებული სიუჟეტი მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ავტორის სოციალური გზავნილების მკაფიოდ გამოხატვას. ნესინის სატირულ მოთხრობებში სიცილი ცალსახად ევოლუციონირებს წინააღმდეგობის ფორმად. იგი ქმნის მორალურ სივრცეს, რომელიც მკითხველს აიძულებს გააანალიზოს არა მხოლოდ თავისი სოციალური რეალობა, არამედ საკუთარი როლი ამ რეალობის ჩამოყალიბებაში. ნესინის იუმორი განსხვავდება ტრადიციული გასართობი ფუნქციისგან – ის ტრანსფორმირდება კრიტიკული აზროვნების სტიმულატორად.

აზიზ ნესინის ტექსტებში ხშირია ყოველდღიური სიტუაციები, სადაც საგნები და ადამიანები სარკასტულ კონტექსტში სრულიად საპირისპირო მნიშვნელობებს იძენენ. პერსონაჟებში არსებული ქცევითი „სიგიჟე“ ბევრად ლოგიკურად წარმოჩნდება, ვიდრე თავად სისტემის მიერ ნორმად დამკვიდრებული წესრიგი. სწორედ ეს დაპირისპირება ქმნის იმ ირონიულ ლიტერატურულ სივრცეს, რომელიც მკითხველს საშუალებას აძლევს, საკუთარი სოციალური გარემო სხვა პერსპექტივიდან დაინახოს.

აზიზ ნესინის შემოქმედება ნათლად ცხადყოფს, რომ სატირა არ არის მხოლოდ ესთეტიკური ფორმა ან მხატვრული ჟანრი – იგი ფუნქციონირებს როგორც სოციალური ცნობიერების ამაღლების საშუალება, რომელიც აკრიტიკებს არსებულ სისტემებს, აშარჟებს ინსტიტუციურ მანკიერებებს და, ამავდროულად, ხაზს უსვამს ცვლილებების აუცილებლობას.

მარადი კაციაშვილი
სალომე გუმბერიძე

**ჰომო ფაბერი თანამედროვე სამყაროში:
ტექნოკრატიზმის კრიტიკა მაქს ფრიშის რომანში
“Homo Faber”**

შვეიცარიელი დრამატურგისა და რომანისტის, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანულენოვანი ლიტერატურის აღიარებული წარმომადგენლის, მაქს ფრიშის (1911-1991) ერთ-ერთი პოპულარული რომანია “Homo Faber” („ჰომო ფაბერი“) [1957], რომელიც, ერთი მხრივ, არის ერთგვარი ეგზისტენციური რომანი და, მეორე მხრივ, მე-20 საუკუნის ტექნოკრატიული მსოფლმხედველობის კრიტიკა.

ტექსტი გადმოსცემს, თუ როგორ გარდაიქმნება მთავარი გმირი ვალტერ ფაბერი – ტექნიკური ცოდნით აღჭურვილი და რაციონალიზმზე დაყრდნობილი ინჟინერი – ტრაგიკული ბედის მატარებელ პერსონაჟად, რომელიც ვერ უმკლავდება ემოციურ, ეთიკურ და ადამიანურ ურთიერთობებს. აღნიშნული საკითხები კიდევ უფრო აქტუალურია, ვინაიდან ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდება და ყოფის ავტომატიზაცია ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია.

ძველი ბერძენი ავტორის, სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფე“ მსგავსად, რომელიც არისტოტელეს მიერ ტრაგედიის სრულყოფილ ნიმუშად არის მიჩნეული, მაქს ფრიშის რომანი „ჰომო ფაბერი“ გადმოგვცემს ადამიანის თვითშემეცნების ამბავს, ასევე გადმოგვცემს, თუ რაზე გადის ადამიანის მიერ ქვეშაღი თავისუფლების მოპოვების გზა. როგორც ტრაგედია „ოიდიპოს მეფე“, ისე რომანი „ჰომო ფაბერი“ გამოხატავენ დაძაბულობას ადამიანის ნებასა და იმ ძალებს შორის, რომლებიც ჩვენს ბედს განსაზღვრავენ – იქნება ეს ღვთიური წინასწარმეტყველება, თუ ტექნოკრატიული პროცესების შეუქცევადობა.

„ჰომო ფაბერი“ დაგვაფიქრებს, თუ რას ნიშნავს იყო ადამიანი ტექნოლოგიის ეპოქაში. ვალტერ ფაბერის მეცნიერული ცივი

გონება სიყვარულის, დანაშაულისა და ბედისწერის წინაშე უძლური აღმოჩნდება. ტექნიკა ვერ გვიხსნის საკუთარი თავისგან – მიგვაჩნია, რომ სწორედ აქ მდგომარეობს რომანის ქეშმარიტად სულისშემძვრელი დრამატულობა.

ქეთევან კოდელაშვილი

მულტიფუნქციური ციფრული გამოცემებისა და კორპუსზე დაფუძნებული სტილომეტრიის სინერგია ტექსტოლოგიური კვლევის განვითარებისათვის

ტექნოლოგიების ეპოქა მრავალ მნიშვნელოვან საკითხსა და სიახლეს განსაზღვრავს, აღნიშნული ენხება სამეცნიერო სფეროს. მნიშვნელოვანია, შემუშავდეს მულტიფუნქციური ციფრული აკადემიური გამოცემები, რაც ნამდვილად გაუმარტივებს მეცნიერს კვლევის პროცესს. თუმცა, იმისთვის, რომ მსგავსი გამოცემა სანდო და ავთენტური იყოს, საჭიროა ახალი მიდგომა, რომლის მეშვეობითაც ავტორობის საკითხი ნაკლებად დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. ამ შემთხვევაში, შეგვიძლია მივმართოთ კორპუსზე დაფუძნებულ სტილომეტრიას, რომელიც უზრუნველყოფს ძველი და ტრადიციული მეთოდებისგან განსხვავებით მაქსიმალურ სიზუსტეს. ციფრული აკადემიური გამოცემისა და კორპუსული სტილომეტრიის სინერგია კი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ქართულ ტექსტოლოგიაში, რადგან გამოცემა მეტად სანდო გახდება, ხოლო ტრადიციული ტექსტოლოგია ციფრული მიმართულებით განვითარდება.

მოხსენებაში ვისაუბრებთ მულტიფუნქციური ციფრული აკადემიური გამოცემისა და კორპუსზე დამყარებული სტილომეტრიის სინერგიის მნიშვნელობისა და როლის წარმოჩენაზე, ყურადღებას გავამახვილებთ ტრადიციული და თანამედროვე ტექტოლოგიის მიდგომებსა და კვლევის მეთოდების შედარებაზე.

გვანცა კუპრეიშვილი

ანტიკური სამართლიანობიდან ქრისტიანულ სინდისამდე: შურისძიების დრამატურგია ესქილესა და შექსპირთან

შურისძიების ფენომენი მხატვრული ლიტერატურისათვის უცხო არ არის. იგი სათავეს ანტიკური ხანიდანვე იღებს. შურისძიების წყურვილით ივსებიან ინდივიდები მაშინ, როდესაც სხვების მიზეზით კარგავენ რაიმე ძვირფასს, ღირებულს, წმინდათაწმინდას. ამ დროს ისინი აცნობიერებენ, რომ დანაკლისს ველარაფრით შეივსებენ, დაღუპულს ველარ გააცოცხლებენ, თუმცა შეუძლიათ ერთი რამ – დასაჯონ და გაანადგურონ ის, ვისი მიზეზითაც თავად განიცდიან უსაზღვრო სევდასა და სასოწარკვეთას.

ვფიქრობ, ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ სხვადასხვაგვარად აღიქმეოდა ეს ფენომენი ამა თუ იმ ეპოქაში. თუკი ანტიკურ სამყაროში სამართლიანობა მოითხოვდა მკვლელის, მოლაღატის დასჯასა და მისთვის სამაგიეროს გადახდას, ქრისტიანულ ხანაში ეს დამოკიდებულება რადიკალურად იცვლება. როდესაც მაცხოვარი ჯვარზე აღესრულება, იგი ლოცულობს თავის მკვლელებზე და ევედრება მამა ღმერთს: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არ იციან, რასა იქმან.“ (ლუკა, 23:24) ჩემი მოხსენების მიზანია უკეთ წარმოვადგინო ანტიკური სამართლიანობიდან ქრისტიანულ სინდისამდე მიმავალი გზა, ამიტომაც ყურადღებას ვამახვილებ ორ უდიდეს ტრაგიკოსზე: ესქილესა და შექსპირზე. პირველი ანტიკურ პერიოდში მოღვაწეობდა, მეორე კი რენესანსის ეპოქაში. განვიხილავ მათ ტრაგედიებს: „ორესტეასა“ (რომელიც გახლავთ ტრილოგია) და „ჰამლეტს“. გამოვკვეთ ორივე მათგანში არსებულ შურისძიების მოტივებს. ვისაუბრებ ანტიკურ საბერძნეთში გამეფებული სამართლიანობის პრინციპებზე ქრისტიანული შემწყნარებლური სულისკვეთების საპირისპიროდ. ერთმანეთს დავუპირისპირებ ორესტესის დაუფიქრებელ, გაუაზრებელ, ცხელ გულზე ჩადენილ ქმედებასა და ჰამლეტის მიერ ლოგიკური მსჯელობის, განსჯის, ფიქრისა და აზროვნების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას. მოხსენებაში ხაზი გაესმება იმ ეპო-

ქებსაც, რომლის წიაღშიც ჩამოყალიბდნენ ეს განსხვავებული ლიტერატურული პერსონაჟები.

ანა კურტანიძე ანი როსტიაშვილი

ნაირა გელაშვილის მოთხრობა „სერსო“ პოეტური ენის საკითხები

პოეტური ენა და ლექსიკა ავტორის ორიგინალური, დამოუკიდებელი და შემოქმედებითი მხარეა. მის საილუსტრაციოდ გამოიყენება კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა პოეტური და პროზაული ნაწარმოებები. პოეტური ენის დახასიათებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიების ძირითადი ტენდენციები და ამასთანავე პოეტური ენისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ელემენტები, რომლებიც თანამედროვე მხატვრული ტექსტების განხილვისას გამოგვადგება.

ნაირა გელაშვილის მოთხრობა „სერსო“ მოგვითხრობს ფოტოგრაფი ქალის ისტორიას, სადაც იკვეთება მისი მარტოობა და წარსული სიყვარულის ისტორია. საინტერესოა მოთხრობის დასაწყისი და მისი დასასრული, თუ როგორ აღგვიწერს მწერალი, პირველ პირში მთავარი პერსონაჟის სულიერ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. მის შეუპოვარ ალღოსა და ინტერესს ადამიანებისადმი, განსაკუთრებით კი, გარიყული ადამიანებისადმი სიყვარულს, სიბრაულისა და დახმარების წყურვილს. თხრობის სტილი და სიუჟეტებიც კოლაჟურია, თუმცა ეს არ არღვევს და არ ართულებს მოთხრობის აღქმასა და ჰარმონიულობას. მისი ძირითადი სიუჟეტი რამდენიმე ადგილს მოიცავს: გასართობი პარკი და კუს ტბა. მოთხრობაში ჩანს პერსონაჟთა ბიოგრაფიული პასაჟებიც.

მოხსენებაში განვიხილავთ პოეტური ენის საკითხებს ნაირა გელაშვილის მოთხრობაში „სერსო“. ყურადღებას მივაქცევთ როგორც თხრობის თავისებურებებს, ისე პერსონაჟთა მეტყველებას.

თამარ ლალიაშვილი შალვა მილაშვილი

ოზაანის ამაღლების ფოლკლორული, ისტორიული და ხელოვნებათმცოდნეობითი ასპექტები

ქიზიყი – „უბატონო მხარე“, საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთით მდებარეობს. ქიზიყი ყველა მხრიდან ვაკეებითა და ფერდობებითაა შემოსაზღვრული. იმის გამო, რომ რეგიონს ბუნებრივი დამცავი ზოლი არ გააჩნდა, სამხრეთიდან შემოჭრილ მტერს აქ მცხოვრები ხალხი პირველი ეგებებოდა. ქიზიყში ქრისტიანობა IV საუკუნიდანვე გავრცელდა, აქ განისვენებს წმინდანინოც. არსებული თქმულებებიც და ლეგენდებიც სწორედ ქრისტიანობას, ან მომხდურთა წინაშე გამოჩენილ გმირობებს ეხება.

ჩვენი ინტერესის საგანია ქიზიყში, კერძოდ, დედოფლისყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე ოზაანის ამაღლების (IX- XII ს.ს.) ტაძრის შესახებ არსებული ფოლკლორული, ხელოვნებათმცოდნეობითი და ისტორიული საკითხების შესწავლა. ოზაანის ამაღლება სოფლიდან რამდენიმე კილომეტრში, ღრმა ტყეში მდებარეობს. როგორც ჩანს, იმ პერიოდში სოფელიც ეკლესიის მახლობლად ყოფილა გაშენებული, ხოლო შემდგომ გაფართოვდა გზისა და ვაკის მიმართულებით.

ოზაანის ამაღლება ყურადღებას იპყრობს როგორც არქიტექტურის, ისე მოხატულობის თვალსაზრისით. სამწუხაროდ, არაფერი ვიცით ხუროთმოძღვრის ვინაობაზე, თუმცა მხატვარს საკმაოდ გარკვევით აღუბეჭდავს ასომთავრულით: „ქრისტე ღმერთო, შეუწევენ მიქაელს, ამინ“.

ტაძრის ფრესკები ძალიან შელახულია, მეცნიერთა მოსაზრების თანახმად, ერთ-ერთ ფასადზე გამოსახულია თამარ მეფის ფრესკა. სწორედ ამ ფრესკასთანაა დაკავშირებული ლეგენდა თამარ მეფისა და მიქაელ მხატვრის შესახებ.

მოხსენებაში განვიხილავთ ოზაანის ამაღლების ისტორიულ, ხელოვნებათმცოდნეობით და ფოლკლორულ ასპექტებს.

მარიამ ლიპარტელიანი
დოდო მუქერია
მარიამ ტეფნაძე

ბედისწერა და თავისუფალი ნება ჯეფრი ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობებში“

მოხსენება მიზნად ისახავს ჯეფრი ჩოსერის როლის წარმოჩენას ინგლისური ლიტერატურის განვითარებაში – თუ ვინ იყო ის, რატომ ითვლება გამორჩეულ ინგლისელ პოეტად და რატომ ეწოდა მას „ინგლისური ლიტერატურის მამა“; როგორ იმოქმედა მის შემოქმედებაზე რენესანსის ეპოქამ, ანტიკურმა მითოლოგიამ და ფილოსოფიამ.

მოხსენებაში მთავარი აქცენტი კეთდება ჩოსერის ყველაზე ცნობილ ნაწარმოებზე – „კენტერბერიული მოთხრობები“, რომელიც განიხილავს უნივერსალურ თემებს და ასახავს სოციალურ, მორალურ და ფილოსოფიურ საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბედისწერის საკითხს – განსაზღვრავს თუ არა ჩვენს ცხოვრებას ბედისწერა, გვაქვს არჩევანის თავისუფლება თუ მხოლოდ წინასწარ განერილ გზას მივყვებით?

პრობლემის განსახილველად შემოგვყავს ზოგიერთი პერსონაჟი „კენტერბერიული მოთხრობებიდან“: არსიტი, რომლის გამარჯვება განსაზღვრულია ზეციური ძალებით, მაგრამ ტრაგიკულად კარგავს სიყვარულს; ემილია, რომლის ქორწინებაც, ფაქტობრივად, მისი ნების უგულვებელყოფით ხდება; ბათელი ქალი კი, თითქოს ძლიერი და დამოუკიდებელია, მაგრამ ცხოვრებისეული სევდა და ტანჯვა არც მას აკლია.

მსჯელობის გასაღრმავებლად მოხმობილია მაგალითები ანტიკური ლიტერატურიდან, მათ შორის, სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფე“, სადაც ოიდიპოსი, მიუხედავად მცდელობისა, ბედისწერისგან თავის დაღწევას ვერ ახერხებს.

ამგვარად, ჩოსერის ტექსტებისა და მითოლოგიური მაგალითების მეშვეობით ვეცდებით პასუხი გავცეთ კითხვას: არის თუ არა ბედისწერა გარდაუვალი ძალა, თუ ადამიანის ნებასაც შეუძლია მისი შეცვლა?

ნატალი მაჭარაშვილი

იმპრესიონისტული ტენდენციები ნიკო ლორთქიფანიძის რამდენიმე ნოველისა და მინიატურის მიხედვით

მე-19 საუკუნის ბოლოდან განსაკუთრებული სისწრაფით ვითარდება მეცნიერება და ტექნოლოგია. აქტიურდება: ლიბერალური დემოკრატია, კონსტიტუციონალიზმი, უპირატესობა მიენიჭა რაციონალურ აზროვნებას. ამ ყველაფრის ფონზე, ლიტერატურაშიც გაჩნდა განსხვავებული სათქმელი, მისწრაფება. ზემოდასახელებულმა ტენდენციებმა და პროცესებმა ხელი შეუწყო ახალი მიმდინარეობის, მოდერნიზმის ჩამოყალიბებას.

მოდერნულობის ხანაში პირველ ადგილზე დადგა გონება, როგორც პროგრესის წყარო, პრიორიტეტული იყო ინდუსტრიული და ტექნოლოგიური განვითარება, რასაც მსოფლიო ომებმა მისცა ბიძგი. ეს პერიოდი, საზოგადოების ცნობიერების მძაფრ კრიზისს უკავშირდება, ამიტომ ლოგიკურიცაა, რომ ამ დროს საქმე გვაქვს ახლებურ აზროვნებასთან, მორალის აქამდე არსებულისგან განსხვავებულ გაგებასთან, ძალაუფლების აღქმასა და სხვა მახასიათებლებთან. ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, ამის გამო ცხოვრების ტემპის დაჩქარებამ მოდერნის ეპოქის ადამიანში გამოიწვია ეგზისტენციალური შიში, გაუცხოება, ღირებულებითი სისტემის მოშლა.

მოდერნიზმის მიმდინარეობათაგან ჩვენთვის საყურადღებოა იმპრესიონიზმი, რომლის წარმომადგენლებიც დეტალებზე არ არიან ორიენტირებული, შთაბეჭდილებებს ასახავენ ფრაგმენტულად, ემოციურად.

მოდერნისტები ცდილობდნენ თავი დაეღწიათ ტრადიციული აზროვნებისა თუ ინდივიდუალურობისთვის. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია არაცნობიერის როლი მოდერნისტულ შემოქმედებაში.

ჰერმან ბარის შეხებულებით- „არასდროს არ ყოფილა ადამიანი ასეთი უსუსური“. მისი თქმით, ადამიანი საკუთარ სულს უხმობდა, საჭირო იყო გასაჭირის გამოხატვა. ამიტომ, არ არის გა-

საკვირი, რომ ამ პერიოდში აქტუალურია ნოველის ჟანრი. ნოველა მარტივად, დინამიკური თხრობის სტილით და ემოციურად გადმოსცემს სატკივარს, მორალურ პრობლემებს, ამ ყველაფერმა შესაძლოა მკითხველი კათარზისამდე მიიყვანოს. ქართულ ლიტერატურაში, ზემოაღნიშნული საგულისხმოდ ვლინდება, თუნდაც, მოდერნისტი ავტორის, ნიკო ლორთქიფანიძის საკვლევად შერჩეულ რამდენიმე ნოველაში „ტრაგედია უგმიროთ“, „თავსაფრიანი დედაკაცი“, „გული“, „დაგვიანებული ყვავილები“. მოხსენებაში შევეცდებით, დასახელებულ ნოველებში გამოვკვეთოთ მოდერნისტული, უფრო კონკრეტულად კი, იმპრესიონისტული ტენდენციები.

მარიამ მეარაყიშვილი ილია ჭალიაშვილი

ბიბლიური სიუჟეტი იოსების შესახებ და თეიმურაზ პირველის „იოსებზილიხანიანი“

თეიმურაზ პირველმა მღელვარებით აღსავსე ტრაგიკული ცხოვრების გზა განვლო, მაგრამ თავისი ცხოვრების უმძიმესა და ურთულეს პერიოდებშიც საკუთარ თავში მაინც პოულობდა ძალას იმისთვის, რომ ქართულ პოეზიაში თავისი სიტყვა ეთქვა. მიუხედავად ქვეყნის ტრაგიკული ხვედრისა, ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლისა ირანულ-ოსმალური აგრესიის წინააღმდეგ, ღრმა სულიერი ტკივილებით აღსავსე მეფე-პოეტი მხატვრული სიტყვით ცდილობდა თავისი შინაგანი სამყაროს გამოვლენასა და პოეტურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

თეიმურაზ პირველმა მრავალფეროვანი მხატვრული მემკვიდრეობით ქართულ ლიტერატურაში სიახლე დაამკვიდრა, გადაამუშავა აღმოსავლური ლიტერატურის თხზულებები იდეურ-ესთეტიკური თვალსაზრისით, რის გამოც მისი პოემების ნაწილი განსახილველია არა როგორც თარგმანები, არამედ როგორც სპარსულ თემატიკაზე შექმნილი.

მოხსენებაში განვიხილავთ პოეტის პოემა-რომანს „იოსებზილიხანიანს“, რომელიც მიიჩნევა თეიმურაზის პოეტური ნიჭის ამ-

სახველ საუკეთესო ნიმუშად. პოემის კვლევისას რამდენიმე საკითხი დაისმის: თხზულების სავარაუდო წყაროები, მიმართება ბიბლიასთან და აღმოსავლურ კულტურასთან, პერსონაჟთა სახეები, მოტივები, პოემაში გამოთქმული ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისი, მხატვრული და იდეურ-მსოფლმხედველობრივი სამყარო, მისი ადგილი მსოფლიო და ქართული ლიტერატურის ისტორიაში. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხები საკმაოდაა შესწავლილი, მაგრამ სრულყოფილად არაა გამოვლენილი პოემის მიმართება ბიბლიასთან.

ამიტომ ჩვენი დაკვირვების საგანია თეიმურაზის „იოსებზილიხანიანი“, რომლის შესახებ კორნელი კეკელიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ პოემა სპარსულიდან არაა თარგმნილი, არამედ იოსების შესახებ ბიბლიური ეპიზოდისა და ამ თემაზე მისთვის ცნობილი აღმოსავლური ვერსიების საფუძველზე სპარსულ ლიტერატურაში გავრცელებული თხზულებების შინაარსისაგან განსხვავებული მხატვრული ნაწარმოებია შექმნილი.

მოხსენება მიზნად ისახავს თეიმურაზის „იოსებზილიხანიანის“ მიმართების შესწავლას ბიბლიურ ეპიზოდთან იოსების შესახებ.

მაკა მღებრიშვილი მარიამ ჩხიკვაძე

ცოდნა: ბედნიერება თუ უბედურება ?

**(ჯორჯ გორდონ ბაირონის „კაენის“, „მანფრედის“,
ჯონ მილტონის „დაკარგული სამოთხის“ და
იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთეს „ფაუსტი“ მიხედვით)**

ადამიანის შინაგანი სწრაფვა ცოდნისკენ, რომელსაც ცალსახად დადებით კონტექსტში განვიხილავთ როგორც განვითარების, პროგრესის და პიროვნული ზრდის ერთგვარ საფუძველს, საკმაოდ საკამათო და საინტერესო თემას წარმოადგენს ლიტერატურაში.

წინამდებარე სტატიაში განხილულია ჯორჯ გორდონ ბაირონის „კაენი“ და „მანფრედი“, ჯონ მილტონის „დაკარგული სამოთხე“ და იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთეს „ფაუსტი“, რომლის მი-

ხედვიდათ ცოდნას მეორე მხარე აქვს და ის შეიძლება განვიხილოთ როგორც ტვირთი და სიმშვიდის დამრღვევი.

ერთი მხრივ, ცოდნა საშუალებას აძლევს ადამიანს შეიცნოს სამყარო, გადაჭრას მრავალი პრობლემა და ახალ სიმაღლეებს მიაღწიოს. უდავოა, რომ ინტელექტუალური აღმოჩენები ხშირად იწვევს ადამიანში სიხარულისა და კმაყოფილების შეგრძნებას. თუმცა, მეორე მხრივ, ხსენებული ნაწარმოების გმირების მაგალითები ცხადყოფს, რომ ზღვარგადასულმა ცნობისმოყვარეობამ და აკრძალული, უსასრულო ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვამ, შეიძლება ღრმა სულიერი კრიზისი გამოიწვიოს. კაენის მიერ შეცნობილი სამყაროს სისასტიკე მას ძალადობისაკენ უბიძგებს. მანფრედის ინტელექტუალური ჩაღრმავება და ადამიანური ცოდნის საზღვრებს გაცდენა, წარსულის ტკივილებს უკავშირდება, რაც მისი მარტოსულობის მიზეზია. ადამისა და ევას მიერ შეძენილი ღვთაებრივი ცოდნა, მიწიერ საზღვრებს სცდება რაც სამოთხის დაკარგვით სრულდება, ხოლო ფაუსტის სწრაფვა აბსოლუტური ჭეშმარიტებისკენ მას სულიერად აცარიელებს.

ზემოთ ხსენებული ლიტერატურული ტექსტების ანალიზი ცხადყოფს, რომ გადამწყვეტ როლს თვითონ ცოდნის ფლობა კი არ ასრულებს, არამედ ის თუ რა მიზანს ემსახურება იგი, რა განზრახვით ეძებს ადამიანი მას და როგორ აპირებს მის გამოყენებას პრაქტიკაში. შესაბამისად ცოდნისკენ სწრაფვა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც არა მხოლოდ ინტელექტუალური, არამედ სულიერ გამოცდილება, რომელიც ძალზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის შინაგან ჰარმონიასა და ბედნიერებაზე.

სამირა ომაროვა ლიზი ხიდაშელი

მოზარდის თვალთ დანახული სისტემა – იმრე კერტესის „უბედობა“

იმრე კერტესის რომანი „უბედობა“ ჰოლოკოსტის ლიტერატურაში რადიკალურად განსხვავებული ტექსტია. კერტესი არ გვიყვება ამ საშინელ ამბავს დრამატული ტონით, არც ემოციურად დატვირთული სიტყვებით, პირიქით – ყველაფერს გვთავაზობს

გულგრილი თხრობით. სწორედ ეს იწვევს შოკს – არა ის, რასაც გმირი აღწერს, არამედ ის, როგორ გვყვება ამას. მთავარი გმირი მხოლოდ თხუთმეტი წლისაა. მისთვის ბანაკი, მუშაობა, შიმშილი და შიში არ არის გაუგებარი ტრაგედია. ის არ კითხულობს, რატომ ხდება ეს ყველაფერი, უბრალოდ, ეგუება. სწორედ ეს გულგრილი ტონი გვაფიქრებინებს, რამდენად ძლიერად მოქმედებს სისტემა ადამიანზე. ის ცდილობდა ეჩვენებინა, როგორ მუშაობს ძალაუფლება – არა ხმაურიანად და ღიად, არამედ ჩუმად, ისე, რომ ადამიანს თავადაც აღარ ესმის, როგორ ექცევა სისტემის მარწმუნებში.

მოხსენებაში ვისაუბრებთ მიშელ ფუკოს მოსაზრებაზე ძალადობის სულიერ მხარეზე და მის მიმართებაზე კერტესის ნაწარმოებთან. თითქოს ავტორი შეგნებულად ირჩევს ზედმეტად უბრალო და უგრძნობ თხრობას, რადგან სწორედ ამ გზით გვაგრძნობინებს იმას, რაც სიტყვებით ვერ გადმოიცემა, რომ ასეთი სისტემა ადამიანს უჩუმრად შლის შიგნიდან. ეს სიჩუმე კი მკითხველში კიდევ უფრო ძლიერ ემოციურ რეაქციას იწვევს, ვიდრე ხმამაღალი მოთქმა ან ღრმა ანალიზი.

თამთა პაპიძე

სწორფრობის ეთიმოლოგიური საფუძვლები სამძიპარის მითოსში

ტრადიციული საზოგადოების წევრს, ჯვრის „ვერცხლის ღილად“ წოდებულ ხევსურს სწამდა, რომ მოყმე, არა მხოლოდ სიკვდილის, არამედ სქესის წინაც გამოიცდებოდა. ის პირველ შემთხვევაში შიშს ძლევს, მეორეში კი – ვნებათაღელვას და მხოლოდ ორივე განსაცდელში გამარჯვების მოპოვების შემდგომ იწოდება ღირსეულ ვაჟკაცად. სქესთან ქალიც გამოიცდებოდა. ღირსების სამკაულს ისე ვერავინ იხდენს, როგორც დიაცი, „ვარსკვლავი ციდამ მოცლილი“. ამ რწმენით, მაღალი მორალურ-ზნეობრივი სტანდარტით არის ნასაზრდოები ხევსურეთის საყმოებში გავრცელებული, ბუნდოვანებით მოცული სწორფრობის წეს-ჩვეულება. სწორფრობა საკრალური, სულიერი, ასკეტური ურთიერთობაა ქალ-ვაჟს შორის, რომელიც ერთად წოლა-დგომით, ღამის საუბარში გათენებით, დაძმობილებითა და ერთმანეთის მიმართ სა-

მუდამო პატივისცემით, სიყვარულით განმსჭვალვაში გამოიხატება. აქ ადამიანი მალღდება ხორციელ გრძნობებზე. სწორფრული წოლა-დგომის დროს დობილ-ძმობილებს შორის საკრალური ზღურბლი ორლესური მახვილივით ხელშეუხებელია. სწორედ ამიტომ სწორფერთა ქორწინება შერისხულია როგორც თემისგან, ასევე ღვთისგან. „სწორფრობა ხთის გაჩენილია“, სწორფერმა უნდა მისდიოს მის კანონებს, მაგრამ საიდან გაჩნდა ეს კანონები, ვისგან ისწავლეს ისინი ხევისურებმა?

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომელიც სწორფრობის გენეზისს ხახმატის ჯვრის საყმოში გავრცელებულ სამძიმარის მითოსს უკავშირებს. „ყელილიანი“, „ხელი“ სამძიმარი ვაჟთან ინიციატივის გამოჩენით, მასთან დარჩენით, ფიზიკური კავშირისგან თავშეკავებით, შესაძლოა გვევლინებოდეს წეს-ჩვეულების ინიციატორად. რაც არ უნდა მოკლებული იყოს ეს თეორია ქეშმარიტებას, ანალოგია საშუალებას იძლევა, კავშირი დავინახოთ რეალურ და მითოსურ სინამდვილეთა შორის. გაღვთისშვილებული და მაქცია სამძიმრის ურთიერთობა საცოლე ვაჟებსა თუ კულტის მსახურებთან სწორფრობის წეს-ჩვეულების საკრალურ წარმოშობაზე უნდა მიუთითებდეს.

თამარ რეხვიაშვილი

აისელ ახმედოვა

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და გამოცემები

„ვეფხისტყაოსანი“ მართლაც უმნიშვნელოვანესი პოემაა, ამიტომაც მისი 162 ხელნაწერი, 32 ფრაგმენტი და 50-ზე მეტი ბეჭდური გამოცემა მოგვეპოვება. აღსანიშნავია, რომ უძველესი თარიღიანი ხელნაწერი მამუკა მდივან თავაქალაშვილს ეკუთვნის, ხოლო ყველაზე ძველი ხელნაწერი მე-16 საუკუნის გასულსაა შესრულებული. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ავალიშვილისეულმა, ბეგთაბეგისეულმა და ზაზასეულმა ხელნაწერებმა, მათი თავგადასავალი ძალზე საინტერესო და საყურადღებოა. მნახველს იპყრობს ვანის ქვაბებზე შესრულებული მინაწერებიც.

რაც შეეხება გამოცემებს, აქ უკვე განვიხილავთ ვახტანგ მეექვსისა და მარი ბროსეს რედაქციებს. კერძოდ, სტამბურად „ვე-

ხისტყაოსანი“ პირველად დაიბეჭდა 1712 წელს ვახტანგ მეექვსის რედაქციითა და კომენტარებით, მეორედ კი ბეჭდურად გამოიცა პეტერბურგში, მარი ბროსეს მიერ.

ამრიგად, მოხსენებაში წარმოვადგენთ „ვეფხისტყაოსნის“ გამორჩეული ხელნაწერებისა და უძველესი ბეჭდური ვერსიების ისტორიას.

მარიამ სალუქვაძე

ნინო ანანიძე

სიყვარულის დრამატურგია: ბედისწერა, გრძნობები და ილუზია უილიამ შექსპირის პიესებში „რომეო და ჯულიეტა“ და „შუა ზაფხულის ღამის სიზმარი“

უილიამ შექსპირი სიყვარულის თემას სხვადასხვა ნარატიულ კონტექსტში მრავალმხრივ წარმოაჩენს, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ტრაგედიაში „რომეო და ჯულიეტა“ და კომედიაში „შუა ზაფხულის ღამის სიზმარი“. მიუხედავად ჟანრობრივი განსხვავებისა, ორივე პიესაში სიყვარული წარმოდგენილია, როგორც სულიერი განცდა, რომელსაც სძლევს გარე ფაქტორები – ბედისწერა, საზოგადოებრივი ნორმები და ილუზია.

წინამდებარე სტატიაში განხილულია თუ როგორი ურთიერთმიმართებაა ბედისწერას, გრძნობებსა და ილუზიას შორის შექსპირის ამ ორ პიესაში.

„რომეო და ჯულიეტაში“ სიყვარული ღრმა, მტკივნეული და ტრაგიკულია. ორი ახალგაზრდა გმირის გრძნობას ოჯახების მტრობა და ფატალური შემთხვევები განწირულებად აქცევს. აქ შექსპირი ბედისწერის იდეას შემდეგნაირად წარმოსახავს: გმირები „ვარსკვლავებით დაწყვეტილნი“ არიან, რაც ამტკიცებს, რომ მათი სიყვარული ზებუნებრივ ძალებს უპირისპირდება. მთავარი გმირების სიყვარული წარმოუდგენელია მათ სოციალურ გარემოში, სადაც მტრობა და ორი ახალგაზრდისთვის წინასწარ დაწერილი ბედი, სიყვარულს დაუძლეველ დაბრკოლებად იქცევა. ტრაგიკული სიყვარული ბედისწერასთან დაპირისპირებით ვითარდება, რაც საბოლოოდ გმირების დაღუპვით მთავრდება.

„შუა ზაფხულის ღამის სიზმარში“ კი სიყვარული უფრო მსუბუქი, მაგრამ მაინც ქაოტურია. პიესა ილუზიის, მაგიისა და კომიკური შეცდომების ფონზე წარმოგვიდგენს სიყვარულის არასტაბილურ ბუნებას. ფერია პაკისა და ობერონის ჩარევა წარმოაჩენს სიყვარულის მექანიკურ და ილუზიურ მხარეს – აქ გრძნობები ადვილად შეიძლება შეიცვალოს მაგიური წამლით, რაც სიყვარულის გონივრულობას ეჭვქვეშ აყენებს. გმირები სიყვარულისთვის იბადებიან და იმავე სიყვარულისთვის იღუპებიან. "შუა ზაფხულის ღამის სიზმარში" კი სიყვარული ქარიშხალივით დაუმორჩილებელია – წამში იცვლის გეზს, ერთი თვალის დახამხამება საკმარისია, რომ გულიც და გონებაც შეცდეს. ორივე პიესაში შექსპირი მიგვითითებს, რომ სიყვარული არ არის მთლიანად ინდივიდუალური არჩევანი; იგი ან ბედისწერითაა ნაკარნახევი, ან ილუზიებით დამახინჯებული.

ამგვარად, დრამატურგი სიყვარულს არა აბსოლუტურ იდილიად, არამედ წინააღმდეგობებით სავსე, ხშირად ტრაგიკულ გრძნობად წარმოაჩენს. ეს მიდგომა სიყვარულის დრამატურგიის შექსპირულ ხედვას კომპლექსურსა და საინტერესოს ხდის. შექსპირის დრამატურგიაში სიყვარული არის გზა – ზოგჯერ წარსულზე ხიდი, ზოგჯერ მომავლისაკენ ქარიანი ბილიკი, მაგრამ ყოველთვის ამბავია ადამიანის მღელვარე სულზე, რომელიც ან იღუპება ჭეშმარიტების გამო, ან იცინის იმაზე, როგორ ადვილად შეიძლება გრძნობა იქცეს თამაშად.

ხატია ტაბატაძე

ტოტალიტარიზმის ეპოქა და მისი ლიბერალური რეპრეზენტაცია რევაზ ინანიშვილისა და ზაირა არსენიშვილის მოთხრობებში

ისტორიული მოვლენები, რომლებიც ქმნის კონკრეტულ ეპოქას, გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე და მისი მსოფლმხედველობაც ამ ეპოქის მიერ დადგენილი წესებით იმართება. ტოტალიტარიზმის ეპოქა ხასიათდებოდა მკაცრი პოლიტიკური

რეპრესიებით, სრული კონტროლით ეკონომიკაზე, მასმედიაზე, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვით, დემოკრატიის არარსებობით და სხვ.

მხატვრული ლიტერატურა პოეტური ენის საშუალებით გადმოსცემს ეპოქის თავისებურებებს. ხშირად მწერალი უპირისპირდება ეპოქას და ამას ასახავს სწორედ მხატვრული ენის დახმარებით. ქართულმა ლიტერატურამ შეძლო გამოენახა გზა იმისათვის, რომ შესაბამისი მხატვრული ხერხებით გამოემჟღავნებინა ტოტალიტარული მმართველობის უარყოფითი ზეგავლენა პიროვნებასა და მისი ცხოვრების განსხვავებულ ასპექტებზე.

მოხსენების მიზანია, ტოტალიტარიზმის ეპოქაში მოღვაწე ქართველი მწერლების შემოქმედების საფუძველზე, გავიაზროთ და შევაფასოთ, თუ როგორ და რომელი მხატვრული საშუალებების დახმარებით ასახავდნენ ქართველი მწერლები საბჭოთა იდეოლოგიურ ზეგავლენას პიროვნების ცხოვრებასა და ინდივიდუალიზმზე. ამ მიზნით განვიხილავთ რევაზ ინანიშვილისა და ზაირა არსენიშვილის მოთხრობებს.

ინა ტყეშელაშვილი თამარ ჭანუყვაძე

„ბაირონული გმირის“ კონფლიქტი ღმერთთან, სამყაროსთან და საკუთარ თავთან ლორდ ბაირონის „კაენისა“ და „მანფრედის“ მიხედვით

„ბაირონული გმირი“ რომანტიზმის ეპოქის ლიტერატურაში ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და მრავალფეროვან სახეს წარმოადგენს. ის აღბეჭდავს ადამიანის შინაგან ქაოსს, თავისუფლებისაკენ სწრაფვასა და უარყოფის სულისკვეთებას, რაც პირდაპირ იწვევს ღრმა კონფლიქტს ღმერთთან, საზოგადოებრივ წესრიგთან და საკუთარ ცნობიერებასთან. მოხსენება ეხება სწორედ ამ კონფლიქტების ანალიზს ლორდ ბაირონის ორ მნიშვნელოვან პოეტურ დრამაში „კაენისა“ და „მანფრედში“. კერძოდ, განხილული იქნება თუ როგორ უპირისპირდება ეს ორი ბაირონული გმირი

ღმერთს, რომლის დუმილი და სიმკაცრე გმირს აიძულებს, თვითონ მოიწოდოს მორალური მსაჯულის როლი. მოხსენებაში ასევე ყურადღება დაეთმობა იმ სტრუქტურული განსხვავების განხილვას, რომელიც გმირებს შორის არსებობს. გამოკვეთილი იქნება ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები პიესებში და პოეტის მიერ შემოთავაზებულ მორალური და ფსიქოლოგიური დილემები, რომლებიც წარმოიშობა გმირის კონფლიქტში საზოგადოებასთან – იმ საზოგადოებასთან, რომელსაც გმირი ფარისევლურად და მოჩვენებითად აღიქვამს.

საბოლოოდ, ყურადღება გამახვილებული იქნება ყველაზე ღრმა, პირად ბრძოლაზე, რომელიც ბაირონულ გმირს საკუთარ თავთან აქვს – სიამაყესა და სინანულს, ვნებასა და პასუხისმგებლობას შორის მუდმივ ბრძოლა. ეს დაპირისპირება განხილულია როგორც ადამიანის შიდა განხეთქილებისა და ეგზისტენციალური მართობის გამოხატულება, რაც ბაირონულ გმირს აქცევს სიმბოლოდ იმ დროის ადამიანისა, ვინც ვერ ეგუება მოცემულ რეალობას და საკუთარ სიმართლეს ეძებს ყველაფრის ფასად.

ბაჩანა უგრეხელიძე

ესთეტიკური ჰელონიზმი და ღორიან ბრაის პორტრეტი

არის თუ არა ცხოვრება ხელოვნების ნიმუში? მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სოციალისტური რეალისტები, ვიქტორიანული მორალისტები, რელიგიური ტრადიციონალისტები, მორალური უტილიტარისტები და ა.შ. ისაკუთრებდნენ ხელოვნებას და ავალდებულებდნენ მას, რომ მათი იდეოლოგიის გავრცელებით შემოფარგულიყო. ისმოდა ფრაზები, როგორიც არის „ხელოვნება უნდა ასახავდეს პროლეტარიატთა გაჭირვებას“, „ხელოვნება უნდა ასწავლიდეს მორალურ გაკვეთილს“ და ა.შ. ხელოვნება მხოლოდ მაშინ იყო „კარგი“ ხელოვნება, თუ ის ეყრდნობოდა რაიმეს საკუთარი თავის გარეთ, მაგ: მორალურ ღირებულებებს. ამას ხელოვნების უკიდურეს დაკნინებად მიიჩნევდა ხელოვანთა და ხელოვ-

ნების თეორეტიკოსთა ჯგუფი, სახელად ესთეტიცისტები. „ხელოვნება ხელოვნებისთვის“, ამბობდნენ ისინი. ამტკიცებდნენ, რომ კარგი ხელოვნება სრულიად დამოუკიდებელი, ავტონომიური ფენომენია, რომელსაც არ სჭირდება სხვა სფეროებზე დაყრდნობა, რომ დიდებული იყოს. სწორედ ხელოვნების ნიმუშის აღქმის გამოცდილება და მის მიერ მიღებული სიამოვნება იყო ესთეტიცისტებისთვის საბოლოო მიზანი. ამას მოჰყვა დიდი კრიტიკოსის, უოლტერ პეტერის ნათქვამი, რომ თავად ცხოვრების გამოცდილება უნდა აღვიქვათ ხელოვნების ნიმუშად და ყოველი გამოცდილებიდან უნდა ვცადოთ სიამოვნების მიღება. აქედან მოდის მიმდინარეობა, სახელად ესთეტიკური ჰედონიზმი, რომლის უკიდურესი წარმომადგენელი არის ოსკარ უაილდის რომანის, „დორიან გრეის პორტრეტის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ლორდ ჰენრი. ის ყველა მოვლენას ხელოვნების ნიმუშად აღიქვამს და საკუთარ და სხვების ცხოვრებას სპექტაკლივით უყურებს სწორედ იმ მიზნით, რომ ყველა გამოცდილებისგან სიამოვნება მიიღოს. აქედან გამომდინარე ის ამორალურია და სიკეთე, ბოროტება და რეალური თანაგრძნობა მისთვის დასაცინი, გამაღიზიანებელი თვისებებია. დორიან გრეის საცოლის, სიბილვეინის თვითმკვლელობა მისთვის არა სულისშემძვრელი მოვლენა, არამედ გოგონას ცხოვრების პიესისთვის შესაფერისი დასასრულია, რომელიც მას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. მეტიც, ლორდ ჰენრი მგლოვიარე დორიანს არწმუნებს, რომ გლოვა სისულელეა და სიბილვეინის ასეთი პოეტური სიკვდილი სასიხარულო მოვლენაა, რადგან ბანალურად დიდხანს და ბედნიერად ცხოვრებას შექსპირის ტრაგედიის მსგავსი დრამატული აღსასრული სჯობს. ლორდ ჰენრი ერთგვარი გაფრთხილებაა ესთეტიკური ჰედონიზმის შესახებ, რომელიც გვაჩვენებს, რომ ცხოვრების ავტონომიურ ხელოვნების ნიმუშად აღქმა ერთ მოსმენაზე სასიამოვნოდ ჟღერს, მაგრამ დროთა განმავლობაში უკიდურეს მორალურ დეგრადაციად და ზედაპირულ, ღირებულებებისგან დაცლილ დეკადენტურ ჰედონიზმად იქცევა.

ნინი ქველიაშვილი

დემოკრატიული ღირებულებები ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრულ შემოქმედებაში

ალექსანდრე ყაზბეგი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში თხზულებათა თემატური მრავალპლანიანობით გამოირჩა. მან საკუთრივ თემის ხასიათი გაიხადა ლიტერატურულ მასალად და რეალისტის მახვილი კალმით აღწერა მისი პრობლემები. პუბლიცისტიკითა თუ მხატვრული შემოქმედებით ბარში მცხოვრები საზოგადოების ყურადღება მიაპყრო მოხევეთაკენ.

მე-19 საუკუნის პოლიტიკური პრობლემა, რუსი სალდათების თავგასულობა და სასამართლო სისტემის შეუთავსებლობა ქართულ რეალობასთან, გაშლილია ყაზბეგის შემოქმედებაში. რა თქმა უნდა, ნაწარმოებთა განვითარების კუთხით, დიდ როლს თამაშობს პოლიტიკური ვითარება. ყაზბეგი არის იმ მწერალთაგანი, რომელმაც დასვა შეკითხვა – რუსულმა მფარველობამ დაუმკვიდრა კი მშვიდობა ქართველებს, თუ მისი სული ტყვეობის არტახებში გამოკეტა?! მწერალი პირუთვნელად აღგვიწერს, როგორ შეითვისა თემმა და მოხევეთა დემოკრატიულმა ფასეულობებმა რუსული სამოხელეო სისტემა.

თემის დემოკრატიულობის პრინციპი თავჩენილია იმ კუთხით, რომ საზოგადოების ნების უზენაესობა მაღლა დადგება ყოველგვარ ინდივიდუალურ შულზე, გულისთქმასა და ცდუნებაზე. საზოგადო აზრია უპირატესი, ანუ ის, რაც თემობას ადათით დაუწესებია.

ალექსანდრე ყაზბეგი მე-19 საუკუნეში არ არის ერთადერთი მწერალი, რომელიც ლიტერატურულ მასალად თემის პრობლემას გვთავაზობს. თემის საკითხი ნათლად წარმოადგინა ვაჟა-ფშაველამაც, მაგრამ მათ შორის განსხვავება დიდია. ვაჟასთან საზოგადოებისა და პიროვნების დაპირისპირებისას, ყოველთვის პიროვნების ინდივიდუალური აზრია საღი. ხოლო ყაზბეგი დასაბუთებით თემის გადაწყვეტილებას ინდივიდის სურვილსა და მიზანსწრაფვაზე მაღლა აყენებს, თან ისე, რომ მისი პირადი ღირსება არ დაიჩრდილოს. ყაზბეგთან ხმა ერისა და ხმა ღვთისა თა-

ნასწორია, რაც მისი შემოქმედების ერთი ორიგინალური თავისებურებაა.

რუსუდან ქობულაშვილი

რამდენიმე ფერის სიმბოლური გააზრება კნუტ ჰამსუნის „მისტერიების“ მიხედვით

მხატვრული ნაწარმოები ისეთი ელემენტების, და მათ შორის, ხშირად სიმბოლოების ერთიანობაა, რომლებიც „გასაღებია“ ტექსტის უკეთ აღქმისა პროცესში. სიმბოლო მიგვანიშნებს იმაზე, რაც ერთი შეხედვით არ ჩანს. ის მკითხველის ცნობიერებას ტექსტის სიღრმისკენ მიმართავს, აფართოებს მის ინტერპრეტაციულ შესაძლებლობებს. სიმბოლოს მნიშვნელობის ამოკითხვა ტექსტის არა ერთი პლასტის გააზრების საშუალებაა. მხატვრულ ტექსტში, ამ თუ იმ, საგანმა ან მოვლენამ შეიძლება შეიძინოს სიმბოლური დატვირთვა, მათ შორის, ერთ-ერთია ფერი. მისი სიმბოლიკის გაშიფვრა გვეხმარება თუნდაც, პერსონაჟის ხასიათზე დაკვირვების, მისი ამოხსნის პროცესში.

ფერის სიმბოლიკას სოციალური, ფსიქოლოგიური და რელიგიური ასპექტი გააჩნია. მას ასევე მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს ლიტერატურაში ემოციური და აზრობრივი თვალსაზრისით. ფერის სიმბოლიკის შინაგან ლოგიკაში გასარკვევად ორი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ, კერძოდ: 1. მის სიმბოლურ მნიშვნელობას განსაზღვრავს ის „ფსიქოლოგიური კოდი“, რომელიც არ არის დამოკიდებული სუბიექტურ მიმართებაზე ამა თუ იმ ფერთან. მისი ზემოქმედება მკაცრად სპეციფიკურია ფერის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე. 2. ფერთა სიმბოლიკა ეყრდნობა ფერთა ორი ჯგუფის დაპირისპირებას: ცივ და თბილ ფერებს.

ჩვენი მოხსენების მიზანია რამდენიმე ფერის სიმბოლური მნიშვნელობის გააზრება კნუტ ჰამსუნის რომანის „მისტერიების“ მიხედვით. ეს ნაწარმოები ფერთა მრავალეფროვანი პალიტრით გამოირჩევა, თუმცა, მოხსენებაში ყურადღებას შევაჩერებთ, მხოლოდ რამდენიმე ფერის: ყვითლის, ცისფერის (ლურჯის) და ვერცხ-

ლისფერ/თეთრის სიმბოლურ მნიშვნელობაზე. ნებისმიერ ფერს, როგორც ყველა სიმბოლოს ამბივალენტური მნიშვნელობა აქვს და მათი ამოკითხვის დროს, ბუნებრივია, გასათვალისწინებელია ტექსტის კონტექსტი.

ია შანთაძე

ქალის მორალური სტატუსი ნათანელ ჰოთორნის „ლისფერ დამლაში“

ნათანელ ჰოთორნი მე-19 საუკუნის ამერიკელი მწერალია, რომელიც ცნობილია ნაწარმოებით „ლისფერი დამლა“. იგი საინტერესო და ამავედროულად ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მასში ავტორი წინ წამოწევს საზოგადოებისა და ქალის, როგორც ინდივიდის დაპირისპირებას.

მოხსენების მიზანია განვსაზღვროთ: ქალის მორალური სტატუსი ლიტერატურასა და საზოგადოებაში ჰესტერ პრინის მაგალითით.

ლიტერატურული ისტორიის მანძილზე ქალის როლი უმეტესწილად მეორეხარისხოვანი იყო. ისინი იყვნენ სიმბოლოთა მატარებლები და ნაკლებად დამოუკიდებელი სუბიექტები. ქალი პერსონაჟი ხშირად წარმოადგენდა პრობლემების გამომწვევ მიზეზს, რომლის გადაჭრაც შემდეგ „ღირსეულ“ მამაკაცებს ევალებოდათ. პანდორა, მედეა, ევა, კირკე – ყველა ეს სახე ისტორიულად მამაკაცური სამყაროს თვალსაზრისითაა დანახული და ხშირად ასოცირდება არასტაბილურობასთან, მაცდურობასთან, სიავესთან და სხვა.

მოხსენებაში გავაანალიზებთ ქალის სახის ევოლუციურ განვითარებას სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, მასზე დაყრდნობით განვსაზღვრავთ ქალის მორალური სტატუსს საზოგადოებაში და, კონკრეტულად, „ლისფერ დამლაში“.

მთავარი ანალიზის საგანია: რატომ პატიობს საზოგადოება ალისონს სითამამეს, მრავალ ქორწინებასა და სექსუალურ თავისუფლებას, ყველაფერ იმას, რაც სოციალური ნორმების ანტიპოზიციურია?

ღებელია, რატომ სჯის ასე მკაცრად იგი ჰესტერ პრინს? ქალს, რომელიც მორალური თვალსაზრისით სრულიად განსხვავდება ჯეფრი ჩოსერის პერსონაჟისგან. ამრიგად, საინტერესოა განარჩევს თუ არა საზოგადოება „დამნაშავეებს“ მათი სოციალური, ინტელექტუალური, ვიზუალური, მატერიალური და სხვა შესაძლებლობების მიხედვით.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოებისათვის მიუღებელნი არიან ის ქალები, რომლებიც „საზოგადო წესრიგს“ არ ემორჩილებიან და ამ საქციელით ამხელენ მის უსუსურობას, სიმდაბლეს, სიყალბესა და ფარისევლობას.

გიორგი შარაშენიძე

გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“, როგორც დისტოპიური რომანი

ავტორიტარული, დიქტატორული და ტოტალიტარული რეჟიმების სინამდვილე, რომელიც პროპაგანდის მეშვეობით უტოპიად წარმოჩნდება, ლიტერატურულ განსახიერებას დისტოპიური რომანების მეშვეობით პოვებს. ეს უკანასკნელნი უტოპიურ დრო--სივრცეს მისი ერთი მცხოვრების, ცალკეული ინდივიდის თვალთახედვით ასახავენ და სწორედ ასე უპირისპირდებიან მცდელობას, სინამდვილე უტოპიად წარმოჩნდეს. ამიტომ, რაკი უტოპიას დისტოპიად ასახვის განსხვავებული რაკურსი აყალიბებს, მათი დაპირისპირება იმას უსვამს ხაზს, რომ უტოპიის არსებობა, სინამდვილეში, შეუძლებელია.

უტოპიურმა ექსპერიმენტმა, რომელიც სოციალიზმის დამკვიდრების საბაბით წარიმართებოდა, გასული საუკუნის განმავლობაში საქართველოც მოიცვა, როგორც საბჭოთა კავშირის ნაწილი. საბჭოური ექსპერიმენტის შემოქმედები სწორედაც უტოპიის გაცხადებულ რეალობად წარმოჩენას ცდილობდნენ. ცხადია, ეს მიზანი ბოლომდე მიუღწეველი იყო და სწორედ ესეც განაპირობებდა მის სისხლისმღვრელ მიმდინარეობას. მიუხედავად ამისა, საბჭოური და, მეტწილად, სტალინური ტერორი ხანგრძლი-

ვად რჩებოდა ცივილიზებული სამყაროს ყურადღების მიღმა, რასაც ხელი საკუთრივ საბჭოთა მესვეურთაგანაც ეწყობოდა, რომლებიც სახსრებს არ იშურებდნენ საკუთარი უტოპიური ექსპერიმენტის რეპრეზენტაციისთვის უცხო ქვეყნებში.

ამიტომ ის, ვინც შეეცდებოდა, საკუთარი შემოქმედებით საბჭოური და სტალინური რეჟიმისთვის ფარდა აეხადა ცივილიზებული სამყაროს წინაშე, რეჟიმის უტოპიას სწორედაც ლიტერატურულ დისტოპიას დაუპირისპირდება. ერთ-ერთ ასეთად გრიგოლ რობაქიძე და მისი „ჩაკლული სული“ მოგვევლინა.

მოხსენების მიზანს წარმოადგენს, დისტოპიური რომანის ჟანრული სტრუქტურისა და მოტივაციური მოდელების მიხედვით წარმოაჩინოს ის თავისებურებები, რომლებიც „ჩაკლული სულისგან“ დისტოპიურ რომანს აყალიბებს, და ხაზი გაუსვას იმ მახასიათებლებსაც, რომლებიც რობაქიძის ტექსტს ტრადიციული დისტოპიებისგან გამოარჩევს. საბოლოოდ კი, ჟანრული ანალიზის კვალდაკვალ, სცადოს ნაწარმოების მიზანდასახულობის გადმოცემაც.

ლიანა ჩანადირი თამუნა შონია

ილია ჭავჭავაძე და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ტრადიციებზე აღიზარდნენ ქართველი სამოციანელები, რომლებმაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დიდი კულტურული და საგანმანათლებლო საქმიანობა გააჩაღეს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელიც კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1879 წლის 31 მარტის წესდებით დაარსდა და დაარსებისთანავე მთელი საქართველოს მასშტაბით აქტიური მოღვაწეობა დაიწყო.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ეროვნულ საქმეს – ქართული ენის შენარჩუნებას, განათლების გავრცელებასა და კულტურის განვითარებას ემსახურებოდა, უმთავრესი მიზანი კი ქართველი ხალხის ქართულ ცნობიერებაში დაბრუნება იყო. ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოებრიობის ნიშნები თანდათან იკარგებოდა, გადარჩენის ერთადერთი გზა – განათლების გავრცელება რჩებოდა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ცარიზმის სასტიკი რეჟიმის პერიოდში იღვანა ქართული ენის, საქართველოს ისტორიის, მწერლობისა და, საერთოდ, კულტურულ ტრადიციათა არა მხოლოდ დასაცავად, არამედ განსავითარებლადაც.

ჩვენი საკონფერენციო ნაშრომის მიზანია, წარმოვაჩინოთ თუ რაოდენ დიდი წვლილი მიუძღვის ილია ჭავჭავაძეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და განვითარებაში.

ანასტასია ცუცქირიძე თამარ ბერაია

ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონისა“ და ჯეფრი ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობების“ შედარებითი ანალიზი

„დეკამერონი“ არის მოთხრობათა კრებული, რომელიც გაჯერებულია ჰუმანური იდეებით, თავისუფალი აზროვნებითა და ცოცხალი იუმორით. ის ხაზს უსვამს, რომ ადამიანი თავად განაგებს საკუთარ ბედს. ასევე, „დეკამერონში“ ჭარბობს რენესანსის ეპოქის ნიშნები, რაც გულისხმობდა ანტიკური ცოდნის აღზევნებას, ანთროპოცენტრიზმისა და ჰუმანისტური იდეოლოგიების ჩამოყალიბებას. ალორძინების ხანას საფუძელი ჩაეყარა მე-14 საუკუნის იტალიაში, ამავე დროს ინგლისში ჯეფრი ჩოსერის ასრულებს „კენტერბერიული მოთხრობების“ დაწერას. მიუხედავად იმისა, რომ ალორძინების ხანა ინგლისში მოგვიანებით გავრცელდა, მის შემოქმედებაში ნათლად ჩანს რენესანსული საწყისები. ნავარაუდებია, რომ „კენტერბერიული მოთხრობები“ სწორედ

„დეკამერონის“ შთაგონებითაა დაწერილი. მოცემული ორი ნაწარმოები ერთმანეთს ემსგავსება ბედისწერის თემით, ჰუმანისტური შეხედულებებით, სტრუქტურითა და იმით, რომ წარმოადგენენ თანადროული სოციალისტური ანარქიზმის. ორივე არის ერთგვარი შუამავალი შუა საუკუნეებსა და აღორძინების ხანას შორის, სადაც ავტორები ქმნიან პროზაული სალიტერატურო ენის ნიმუშს, ჯოვანი ბოკაჩო – იტალიურს, ჯეფრი ჩოსერი – ინგლისურს. რაც შეეხება განსხვავებებს, ქალის ფენომენი ბოკაჩოსთან ასოცირდება გონიერებასთან და მოხერხებულობასთან, ჩოსერი კი ზუსტად ასახავს იმ პერიოდის ტიპური ქალის სახეს. ნაშრომის მიზანია ამ თემის ფარგლებში გაანალიზოს ზემოთხსენებული ორი ნაწარმოები მათი მსგავსება-განსხვავების გათვალისწინებით.

გვანცა ძმანაშვილი ანა წიქარიშვილი

პაოლო იაშვილის ლიტერატურული მისტიფიკაცია „ცისფერი ქოლგის“ მიხედვით

დარიანული ციკლის ერთ-ერთი გამორჩეული ლექსი, „ცისფერი ქოლგა“, პირად ემოციებზეა დაფუძნებული, რაც მეცნიერთა და მკითხველთა არაერთგვაროვან დამოკიდებულებასა და შეხედულებებს წარმოშობს. ტექსტში იგრძნობა ელენე დარიანის დღიურების ინერცია და პაოლო იაშვილის წერის მანერა. ლექსის სათაურის ანალიზი ადასტურებს, რომ იგი ორწევრიანი სინტაგმაა; მისი პირველი წევრი ცისფერი – „ცისფერი ყანწებიდან“ და მთელი სიმბოლისტური ტრადიციიდან იღებს სათავეს. ქოლგა კი უტილიტარული გაგებით დამცავი ნივთია, ხოლო ერზაცულად ვუაღი, რიდე, რომლის მიღმაც გარკვეული იდუმალეობა იმალება. მაშასადამე, ავტორი ამ სათაურით გვეუბნება, რომ სიმბოლისტური – ცისფერყანწელური საფარის ქვეშ მოქცეულია გარკვეული საიდუმლო, ან, გაუმჟღავნებელი ამბავი.

მოხსენებაში დეტალურად განვიხილავთ აღნიშნულ ლექსს დარიანული ციკლის, პაოლო იაშვილისა და ელენე დარიანის სხვა ტექსტებთან მიმართებით.

**ნიკოლოზ შათირიშვილი
მარიამ მჭედლიძე**

ცისფერყანწელები და მათ მიერ ქართულ პოეზიაში შემოტანილი სიახლეები

ნაშრომი მიმოიხილავს ცისფერყანწელთა ლიტერატურულ მოღვაწეობას მათ მიერ ქართული ლექსის სტრუქტურის, ენისა და მხატვრული ფორმის გარდაქმნის კონტექსტში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმ სიახლეებზე, რაც მათ პოეტურ სივრცეში შემოიტანეს – როგორ შეცვალეს ტრადიციული ლექსის ფორმა, რითმისა და რითმული კანონებისადმი მიდგომა, მეტა-ფორული აზროვნება და თემატური ფოკუსი.

ქართულ კულტურულ სივრცეში ცისფერყანწელების შემოქმედებამ საფუძველი ჩაუყარა ახალ პოეტურ ენას, რომელიც ფორმითაც და შინაარსითაც მკვეთრად განსხვავდებოდა მანამდე არსებული ლექსის სტილისგან, რაც აიხსნება მათი მისწრაფებით – გაემართათ ქართული პოეზია ევროპული ტენდენციებით.

მოხსენებაში გაანალიზებულია „ცისფერყანწელთა“ პოეტური ტექსტები, მანიფესტები და ქართველ ლიტერატურთმცოდნეთა ნაშრომები, რომლებიც ცისფერყანწელთა პოეტიკის ანალიზს ეთმობა და გვთავაზობს მათ შინაარსობრივ და სტილისტურ თავისებურებებზე ღრმა დაკვირვებას, რათა მკაფიოდ წარმოჩინდეს ის ცვლილებები, რაც მათ პოეტურ ენასა და ლექსში შეიტანეს.

მარიამ შამათავა

ვახტანგ ორბელიანის პოეზიის არსებითი თავისებურებები და მისი მნიშვნელობა მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში

ვახტანგ ორბელიანი და მისი შემოქმედება ქართული რომანტიზმის მნიშვნელოვანი ნაწილია და ჩვენში ამ ლიტერატურული მიმართულების სრულად განსასაზღვრად მისი გათვალისწინება აუცილებელია.

ილია ქავჭავაძემ, რომელიც ვახტანგ ორბელიანის პირველი ბიოგრაფი იყო, მას რომანტიკული სკოლის ნამდვილი ლირიკოსი უწოდა და აღნიშნა, რომ იგი ქართულ სინამდვილეში ამ მიმართულების, ფაქტობრივად, ერთადერთი წარმომადგენელია. ილიამ ეს აღნიშნა იმის გამო, რომ მისი თქმით, ვახტანგ ორბელიანის პოეზია თითქმის შეურეველი და აუჭრელბელაია, რაშიც მწერალს სრულად უნდა დავეთანხმოთ. ჩვენი რომანტიკოსი პოეტის შემოქმედების მთავარი მოტივი, რომელიც სხვადასხვა თემას აერთიანებს და, ძირითადად, ისტორიული და ქრისტიანული მასალითაა მოწოდებული, პატრიოტული იდეაა.

ვახტანგ ორბელიანის პოეზიის ყველაზე თვალსაჩინო თავისებურება წარსულისადმი განსაკუთრებული ინტერესია. მასთან ხშირად ვხვდებით საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ხანის გახსენებას, მირიან მეფეს, „დიდ დავითს“, თამარ დედოფალს, განსაკუთრებით- ერეკლე მეფეს. თვალსაჩინოა ისიც, რომ მის პოეზიაში განდიდებულნი არიან არა მხოლოდ კონკრეტული გმირები, არამედ განდიდებულია, საზოგადოდ, ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთა შესახებაც პოეტი რომანტიზმისთვის დამახასიათებელი არსებითი თავისებურებებით საუბრობს.

მოხსენების მიზანს წარმოადგენს ვახტანგ ორბელიანის როლისა და ადგილის კიდევ ერთხელ წარმოჩენა ქართული რომანტიზმის ისტორიაში და იმის ხაზგასმა, რომ პოეტი, რომელზეც თამამად შეიძლება ითქვას, რომ „თავისი ბიოგრაფიითა და შემოქმედებით მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიის ამსახველია“, ყურადღებისა და ხსოვნის ღირსი ნამდვილადაა.

ნინო შიომღვიმელი

დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ გეორგ ვილჰელმ ფრიდრიჰ ჰეგელის „ორი სიმართლის თეორიის“ შუქზე

არისტოტელეს შემდეგ ტრაგედიის ყველაზე თანმიმდევრული თეორიის ავტორად მიჩნეულია გეორგ ვილჰელმ ფრიდრიჰ ჰეგელი, რომლის თეორიაც ცნობილია, როგორც „ორი სიმართლის თეორია“. აღნიშნული თეორიის საფუძვლები ჰეგელმა ჩა-

მოაყალიბა ნაშრომებში – „გონის ფენომენოლოგია„ (თავი მე-5), „ლექციები ისტორიის ფილოსოფიაში“, „ლექციები *ხედიგის ფილოსოფიაში*“ და – „ესთეტიკა“

მარკ როშე აღნიშნავს, რომ „ჰეგელიანური ტრაგედია წარმოადგენს კონფლიქტს ორ კარგს შორის“. ჩვენთვის საინტერესოა, რამდენად შეესაბამება ეს თეორია დავით კლდიაშვილის ტექსტს – „სამანიშვილის დედინაცვალი“. მართალია, ეს ტექსტი არ არის პიესა, ჰეგელის თეორია კი ტრაგედიებზეა დაწერილი, მაგრამ შეიცავს დრამატულ ელემენტებს.

დავით კლდიაშვილის შემოქმედება უფრო იბსენის ტრაგედიის ფორმებში თავსდება. ამასთან, ნამდვილად შეიცავს ლესინგისეულ თანაგრძნობის მომენტს მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა, ვინ არის მართალი ამ ტექსტში? პლატონ სამანიშვილი, რომელიც გაჭირვებით არჩენს თავის ოჯახს თუ ბეკინა სამანიშვილი, რომელსაც მოხუცებულობის ჟამს ცოლის შერთვა გადაუწვეტავს და ბოლოს, შვილის მიერ განწირულ კაცად იქცევა? ამ კითხვებზე პასუხს ვპოულობთ ჰეგელის თეორიაში. ასევე საინტერესოა, ვინ არის აქ მსხვრეპლი? რენე ჟირარის თეორიის მიხედვით შესაძლებელია ამ კითხვასაც გაეცეს პასუხი.

მოხსენებების ფარგლებში დეტალურად მიმოვიხილავთ თითოეული მეცნიერს თეორიას, როგორ აღიქვამს ტრაგედიას გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, ჰენრიკ იბსენი და რენე ჟირარი. შევეცდებით, მათი თეორიების მიხედვით განვიხილოთ დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“.

ანი ქილვარია

ცოდნა რწმენის გარეშე: გზაა სიკვდილისკენ

(ლორდ ბაირონის „კაენისა“ და „მანფრედის“ მიხედვით)

დასავლეთ ევროპულ ლიტერატურაში „ცოდნის“ ფენომენს ძირითადად ორმაგი ბუნება აქვს. ის სინათლის წყაროა, თუმცა ამავედროულად უდიდესი „მწუხარება“, როგორც ამას ლორდ ბაირონი აღნიშნავს. ლორდ ბაირონის „კაენისა“ და „მანფრედის“ ლი-

რიკული გმირები ჰამლეტისგან დიდ დროს უთმობენ ფიქრს იმაზე თუ რანი ვართ და რატომ ვართ. ყოფნა არ ყოფნა მათთვის მართლაც რომ საკითხავია. და მაინც, შეიძლება თუ არა ჭეშმარიტი ცოდნის მოპოვება და შენარჩუნება რწმენის გარეშე? ორივე გმირი, თითქოს სხვადასხვა გზაზე, სინამდვილეში ერთსა და იმავე ტრაგედიამდე მიდიან: ცოდნა, რომელიც არ ეყრდნობა რწმენას ღრმა შინაგან სიცარიელედ იქცევა და ამ სიცარიელეში იბადება ტანჯვა, დანაშაული, ეგზისტენციალური კრიზისი და სიკვდილი.

კაენი კლავს რწმენას და რჩება დაწყევლილი. მანფრედი უარყოფს რწმენას და რჩება სამუდამოდ მარტო. ორივე გმირისთვის ცოდნა არ წარმოადგენს სინათლეს. იმის გამო რომ „ბაირონულ გმირებში“ რომანტიზმის ეპოქის მსოფლმხედველობა იკვეთება, მოხსენებაში „ბაირონული გმირები“ შედარებულია გოეთეს პერსონაჟ ფაუსტთან, ტრაგედიიდან „ფაუსტი“, რადგან ეს გარდამავალი ნაწარმოები აერთიანებს რომანტიზმისა და განმანათლებლობის იდეებსა და კლასიციზმისა და ექსპრესიონიზმის ნიშნებს. შესაბამისად, ცოდნის ფენომენის რომანტიზმის პერიოდის ასახვის დიალექტიკური და ანალიტიკური ანალიზის საშუალებით უფრო ნათლადაა წარმოჩენილი ბაირონის ამ ორი პერსონაჟის კომპლექსური სახე და მისი პიესების მრავალშრიანობა.

შინაარსი

სალომე ადამია. შოთა ჩანტლაძის ლექსის პოეტიკა	14
თამარ ატაშვილი, ელენე ქავზინაძე. ქალი პერსონაჟის როლი ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივისა“ და ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცის“ მიხედვით	15
სანდრა ბლადაძე, ნინო გახარია. „ბეოვულფი“ და „ჰამლეტი“: შედარებითი ანალიზი	16
ლაშა გაგნიძე. გრიგოლ რჩეულიშვილის ლირიკის ძირითადი ასპექტი	17
ნინო გაბელია. ორი ავტორის ერთი შთაგონება	18
ნანა გადელია. შიში, როგორც ძალაუფლების შენარჩუნების მექანიზმი ჰერტა მიულერისა და ნინო ხარატიშვილის ტექსტებში	20
ლოლიტა გევორქიანი. ჰარი ჰალერის პერსონაჟი (ჰერმან ჰესეს რომანიდან „ტრამალის მგელი“) ნიჭშესეული სამი გაჩეხსახვის სწავლების პერსპექტივიდან	21
ლიზი გიორგაძე. ქართული ბიბლიის თარგმანის თავისებურება და ქართული სალიტერატურო ენა რუთის წიგნის პირველი თავის მაგალითზე	22
ნინო გრძელიძე. ვაჟა-ფშაველა და „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხი	22
ელდარ გუგულაშვილი. აკუსტიკურ-სემანტიკური ეფექტი დავით გურამიშვილთან ლექსში „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“	23
მარიამ დელიბაშვილი, ეკა გერლიანი. „ამირანდარეჯანიანისა“ და ამირანის მითის ურთიერთმიმართება	24
სესილი ერაგია. სიტყვის ძალა: ქართული სამკურნალო შელოცვები	25
ნათია ვარსიმაშვილი, მზია ჭიყაშვილი. თხრობის ჟანრობრივი თავისებურებები ნაირა გელაშვილის მცირე რომანში „მე ის ვარ“	26

ელენე თამაზაშვილი. საქართველოს ისტორიული წარსული გრიგოლ ორბელიანის ლირიკაში	28
ეკა თოლორდავა, ელენე თოლორდავა. ჰესიოდეს მსოფლმხედველობრივი გამოძახილები დავით გურამიშვილის „დავითიანში“	29
სესილი იაშვილი. სატირა, როგორც სოციალური კრიტიკის ფორმა (აზიზ ნესინის ნარატიული სტრატეგიები).....	30
მარადი კაციაშვილი, სალომე გუმბერიძე. ჰომო ფაბერიკი თანამედროვე სამყაროში: ტექნოკრატიზმის კრიტიკა მაქს ფრიშის რომანში “Homo Faber”	32
ქეთევან კოდელაშვილი. მულტიფუნქციური ციფრული გამოცემებისა და კორპუსზე დაფუძნებული სტილომეტრიის სინერგია ტექსტოლოგიური კვლევის განვითარებისათვის.....	33
გვანცა კუპრეიშვილი. ანტიკური სამართლიანობიდან ქრისტიანულ სინდისამდე: შურისძიების დრამატურგია ესეილესა და შექსპირთან	34
ანა კურტანიძე, ანი როსტიაშვილი. ნაირა გელაშვილის მოთხრობა „სერსოს“ პოეტური ენის საკითხები.....	35
თამარ ლალიაშვილი, შალვა მილაშვილი. ოზაანის ამალლების ფოლკლორული, ისტორიული და ხელოვნებათმცოდნეობითი ასპექტები	36
მარიამ ლიპარტელიანი, დოდო მუქერია, მარიამ ტფენაძე. ბედისწერა და თავისუფალი ნება ჯეფრი ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობებში“.....	37
ნატალი მაჭარაშვილი. იმპრესიონისტული ტენდენციები ნიკო ლორთქიფანიძის რამდენიმე ნოველისა და მინიატურის მიხედვით	38
მარიამ მეარაყიშვილი, ილია ჯალიაშვილი. ბიბლიური სიუჟეტი იოსების შესახებ და თეიმურაზ პირველის „იოსებზილხიანიანი“	39
მაკა მღებრიშვილი, მარიამ ჩხიკვაძე. ცოდნა: ბედნიერება თუ უბედურება? (ჯორჯ გორდონ ბაირონის „კაენის“, „მანფრედის“, ჯონ მილტონის „დაკარგული სამოთხის“ და იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთეს „ფაუსტი“ მიხედვით).....	40

სამირა ომაროვა, ლიზი ხიდაშელი. მოზარდის თვალთ დანახული სისტემა –იმრე კერტესის „უბედობა“	41
თამთა პაპიძე. სწორფრობის ეტიმოლოგიური საფუძვლები სამძიმარის მითოსში	42
თამარ რეხვიაშვილი, აისელ ახმედოვა. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და გამოცემები.....	43
მარიამ სალუქვაძე, ნინო ანანიძე. სიყვარულის დრამატურგია: ბედისწერა, გრძნობები და ილუზია უილიამ შექსპირის პიესებში „რომეო და ჯულიეტა“ და „შუა ზაფხულის ღამის სიზმარი“	44
ხატია ტაბატაძე. ტოტალიტარიზმის ეპოქა და მისი ლიტერატურული რეპრეზენტაცია რევოზ ინანიშვილისა და ზაირა არსენიშვილის მოთხრობებში	45
ინა ტყეშელაშვილი, თამარ ჭანუყვაძე. „ბაირონული გმირის“ კონფლიქტი ღმერთთან, სამყაროსთან და საკუთარ თავთან ლორდ ბაირონის „კაენისა“ და „მანფრედის“ მიხედვით	46
ბაჩანა უგრეხელიძე. ესთეტიკური ჰედონიზმი და დორიან გრეის პორტრეტი.....	47
ნინი ქველიაშვილი. დემოკრატიული ღირებულებები ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრულ შემოქმედებაში	49
რუსუდან ქობულაშვილი. რამდენიმე ფერის სიმბოლური გააზრება კნუტ ჰამსუნის „მისტერიების“ მიხედვით.....	50
ია შანთაძე. ქალის მორალური სტატუსი ნათანიელ ჰოთორნის „ალისფერ დამლაში“	51
გიორგი შარაშენიძე. გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“, როგორც დისტოპიური რომანი	52
ლიანა ჩანადირი, თამუნა შონია. ილია ქავჭავაძე და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.....	53
ანასტასია ცუცქირიძე, თამარ ბერაია. ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონისა“ და ჯეფრი ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობების“ შედარებითი ანალიზი	54
გვანცა ძმანაშვილი, ანა წიქარიშვილი. პაოლო იაშვილის ლიტერატურული მისტიფიკაცია „ცისფერი ქოლგის“ მიხედვით	55

ნიკოლოზ შათირიშვილი, მარიამ მჭედლიძე. ცისფერყანწულები და მათ მიერ ქართულ პოეზიაში შემოტანილი სიახლეები.....	56
მარიამ შამათავა. ვახტანგ ორბელიანის პოეზიის არსებითი თავისებურებები და მისი მნიშვნელობა მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში	56
ნინო შიომღვიმელი. დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ გეორგ ვილჰელმ ფრიდრიჰ ჰეგელის „ორი სიმართლის თეორიის“ შუქზე	57
ანი ქიღვარია. ცოდნა რწმენის გარეშე: გზაა სიკვდილისკენ (ლორდ ბაირონის „კაენისა“ და „მანფრედის“ მიხედვით)	58

გამოცემაზე მუშაობდნენ:

მარიამ ებრალიძე

ლალი კურდღელაშვილი